

იურიდიული დახმარების სამსახური

წლიური
ანგარიში
2022



იურიდიული
დახმარების
სამსახური

წლიური
ანგარიში
2022



რაჟდენ კუპრაშვილი
სსიპ იურიდიული დახმარების
სამსახურის დირექტორი

კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს საძირკველს წარმოადგენს. ევროპეიზაციის პროცესში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი სრულყოფილი იურიდიული დახმარების სისტემის შექმნას, რომელიც ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვას ემსახურება.

იურიდიული დახმარების სამსახური არის ის ორგანიზაცია, რომელიც სოციალურად დაუცველთა, არასრულწლოვანთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვაზე ზრუნავს და მუდმივად უწყობს ხელს საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას.

გამომდინარე იქიდან, რომ იურიდიული სერვისების ხელმისაწვდომობა დღესაც კი, პრობლემურ საკითხად გვევლინება, ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებით 2022 წელს, მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. გარდა იმისა, რომ სამსახური უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით, 14 ბიუროსა და 38 საკონსულტაციო ცენტრის სახით არის წარმოდგენილი, არაერთი რეფორმა განხორციელდა მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების გაზრდის კუთხით. მეტიც, სამსახურმა ფეხი აუწყო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოწვევას და საქმიანობაში, საქართველოში პირველად, იურიდიული კონსულტაციისა და სამართლებრივი დოკუმენტის მომზადების პროცესში, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკა დანერგა.

ვინაიდან საზოგადოების მაღალი სამართლებრივი ცნობიერება, განვითარებული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს, იურიდიული დახმარების სამსახურის, როგორც უფლებადამცველი ორგანიზაციის პასუხისმგებლობაა, საზოგადოების სამართლებრივ ცნობიერებაზე ზრუნვა. ბოლო წლებში, აქტიურად მიმდინარეობს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება. ამ პროცესში, მნიშვნელოვანია, ცვლილებებთან ერთად, პარალელურად ვითარდებოდეს საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერება. სწორედ ამ მიზნით, სამსახური აქტიურად ატარებდა მოსახლეობასთან შეხვედრებს, მათ შორის ისეთ რეგიონებში, სადაც სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამსახური მუდმივად ზრუნავს გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფაზე. 2022 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურში ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმები დაინერგა, რომელიც ამ მიმართულებით გადადგმული ძალიან დიდი ნაბიჯია.

სახელმწიფოს მთავარი მამოძრავებელი ძალა, მის მოქალაქეებშია. სწორედ ამიტომ, ყველა შესაძლებლობა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ქვეყანაში მეტი დემოკრატიული ინსტიტუტი დავნერგოთ, შევქმნათ ადამიანებზე მორგებული, სრულყოფილი იურიდიული დახმარების სისტემა და უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა უმთავრეს პრიორიტეტად ვაქციოთ, ხოლო მაღალი სამართლებრივი ცნობიერების მქონე მოქალაქეების მეშვეობით, შევქმნათ ევროპულ სტანდარტებზე ფუნქციონირებადი, ძლიერი სახელმწიფო.

სარჩევი

I. იურიდიული დახმარების სამსახური და მისი მანდატი	7
1. იურიდიული დახმარების სამსახური	8
2. სამსახურის მანდატი 2022 წელს	8
2.1 სამსახურის მანდატი სისხლის სამართალში	8
2.2 სამსახურის მანდატი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში	9
2.3 მანდატის გაზრდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის	11
II. იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურა	13
1. იურიდიული დახმარების სამსახურის მენეჯმენტი	14
2. იურიდიული დახმარების საბჭო	15
3. იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის სტრუქტურა	16
4. იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები	17
4.1. 14 იურიდიული დახმარების ბიურო	17
4.2. 37 საკონსულტაციო ცენტრი	17
4.3. 1 დისტანციური მომსახურების ცენტრი	19
5. საზოგადოებრივი ადვოკატები	19
6. საზოგადოებრივი ადვოკატების სპეციალიზაცია	20
7. სამსახურის საშტატო ნუსხა, კონკურსები	21
8. სტაჟირება, იურიდიული კლინიკა	23
III. იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობა	24
1. ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდა	25
2. ხელოვნური ინტელექტი იურიდიული დახმარების სამსახურში	28
3. საკონსულტაციო აკლიკაცია	30
4. სამსახურის ვებგვერდები	30
4.1. ძირითადი ვებგვერდი	30
4.2. ბავშვთა ვებგვერდი	31
5. გასვლითი საკონსულტაციო-საინფორმაციო ღონისძიებები	32
5.1. ეთნიკური უმცირესობებისთვის უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა	33
5.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანია	33
5.3. შეხვედრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან	34
5.4. სამთავრობო გეგმებიდან გამომდინარე ვალდებულებები	34

IV.	ვაქცინოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი	37
	1. მოძრაობის აქტივობები	38
	1.1. გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები	38
	1.2. ნაფიც-მსახულთა სასამართლოს იმიტირებული პროცესები	38
	1.3. იცოდე შენი უფლება 18 წლამდე	40
V.	პროექტი „კარალეგალი“	42
	1. პროექტის მიზანი	43
	2. აჭარის რეგიონში პროექტ „კარალეგალის“ ფარგლებში განხორციელებული აქტივობები	43
	2.1. პარალეგალების გადამზადება და კარიერული საუბრები	43
	2.2. გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები პარალეგალების ჩართულობით	44
	2.3. იმიტირებული პროცესები პარალეგალების მონაწილეობით	45
VI.	იურიდიული დახმარების სამსახურის ფსიქოლოგები მომზადებული ფსიქოლოგიური დასკვნების მიმოხილვა	48
	1. მომზადებული ფსიქოლოგიური დასკვნების მიმოხილვა	49
	2. განეული ფსიქოლოგიური კონსულტაციოები	49
VII.	რადიოგადაცემა „სამართლებრივი რჩევები“	50
VIII.	ჟურნალი „საზოგადოებრივი ადვოკატი“	56
IX.	სამსახურის მიერ განეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები	58
	1. სამსახურის მიერ განეული მომსახურების ხარისხის შეფასება	59
	2. ადვოკატთა თვითშეფასების სისტემა	59
	3. მხარდაჭერითა ჯგუფის საქმიანობა	60
	4. განვრცობადი განათლება	60
	4.1. ტრენინგების მიმოხილვა	61
	5. სასწავლო მოდულები და ხშირად დასმული კითხვები	63
X.	სამსახურის სამართლებრივი აქტივობები	64
	1. სამსახურის ორგანიზებით ჩატარებული კონფერენციები	65
	1.1. პანელური დისკუსიები	65
	1.2. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი	67
	1.3. სამსახურის ანალიტიკური საქმიანობა	67
XI.	საერთაშორისო ურთიერთობები და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	70

XII.	უწყებათაშორისი ურთიერთობები	73
	6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია	76
	6.1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები	76
	6.2. სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება	77
XIII.	იურიდიული დახმარების საბჭოს საქმიანობა	78
XIV.	სამსახურის ადმინისტრაციული საქმიანობა	80
	1. სამსახურის დოკუმენტბრუნვა	81
	2. საჯარო ინფორმაციის გაცემა	81
	3. სამსახურის ფინანსური ანგარიში	85
	3.1. დაფინანსების წყაროები და ბიუჯეტი	85
	3.2. 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვები	85
	3.3. 2022 წლის სამსახურის მიერ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული თანხები	86
	4. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება	86
	5. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი	87
	6. სამსახურის მიმართ სასამართლოში მიმდინარე დავები	89
	7. დისციპლინური წარმოებები	90
	8. წინასწარი მოკვლევები	90
	9. ადმინისტრაციული წარმოებები	90
XV.	სამსახურის მიერ ნაწარმოები საქმეები (სტატიისტიკური ინფორმაცია)	91
XVI.	სამსახურის ცნობადობა	99
	1. სამსახურის ვებგვერდები	100
	1.1. მედიაში ინფორმაციის გაშუქება	101
	1.2. სამსახურის მიერ მომზადებული ვიდეო რგოლები	101
	1.3. სოციალური ქსელი	102
XVII.	საქველმოქმედო საქმიანობა	112
XIX.	სამსახურის ოფისები და საკონტაქტო ინფორმაცია	114





იურიდიული
დახმარების
სამსახური და მისი
მანდატი

1. იურიდიული დახმარების სამსახური

იურიდიული დახმარების სამსახური არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას საქართველოს კონსტიტუციის, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და სამსახურის დებულების საფუძველზე.

იურიდიული დახმარების სამსახური არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო ორგანოს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამსახურის მანდატი 2022 წელს

იურიდიული დახმარების სამსახური გასცემს იურიდიულ კონსულტაციასა და მანდატის ფარგლებში იურიდიულ დახმარებას.

იურიდიული კონსულტაცია – ყველასთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი რჩევა ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე.

იურიდიული დახმარება – სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა, წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით და ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფოს ხარჯზე.

იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირი / გადახდისუუნარო პირი

იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მიზნებისთვის, გადახდისუუნარო პირი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით. აღნიშნული დადგენილების თანახმად: გადახდისუუნაროდ ითვლება სოციალურად დაუცველი პირი, რომლის სარეიტინგო ქულა შეადგენს 70 000-ს ან ნაკლებს;

გარდა ამისა, გადახდისუუნაროდ, ასევე, ითვლება 100 000 ან ნაკლები ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, რომელიც მიეკუთვნება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთს:

- მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წელს მიუღწეველი ბავშვი;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;
- 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;
- რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

2.1. სამსახურის მანდატი სისხლის სამართალში

იურიდიული დახმარების სამსახური სისხლის სამართლის საქმეებში წარმოადგენს გადახდისუუნარო ბრალდებულს, თუ ის მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას. გარდა ამისა, წარმომადგენლობა სისხლის სამართლის საქმეებში უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

- ა) თუ არასრულწლოვანია;
- ბ) თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

- გ) თუ აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;
- დ) თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
- ე) თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;
- ვ) თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
- ზ) თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
- თ) თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;
- ი) თუ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
- კ) თუ არაიდენტიფიცირებული პირია;
- კ1) თუ განიხილება მისი გამარტივებული პროცედურის გამოყენებით უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის საკითხი;
- ლ) ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით თუ ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, რაც, სასამართლოს შეფასებით, აჭიანურებს საქმის განხილვას; თუ ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ადვოკატი საპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, სასამართლო სხდომას გადადებს არაუმეტეს 10 დღით. ამ ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით.

ბრალდებული, მსჯავრდებული (18-იდან 21 წლამდე პირი)

18 წლიდან 21 წლამდე ბრალდებული ან მსჯავრდებული სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით (მოთხოვნის შემთხვევაში);

2.2. სამსახურის მანდატი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში

სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეებში იურიდიული დახმარების სამსახური წარმოადგენს და იცავს შემდეგ პირებს:

გადახდისუუნარო პირი

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნაწილში იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია (ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარმომადგენლობა), საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით;

ბრალდებული/მსჯავრდებული

პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოებისას ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუუნარობის შემთხვევაში;

სამართალდამრღვევი/სავარაუდო სამართალდამრღვევი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წარმოებისას სავარაუდო სამართალდამრღვევი/სამართალდამრღვევი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის

გადახდისუნარობის შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად;

პაციენტი/მსჯავრდებული

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებისას პაციენტი/ბრალდებული უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად;

პაციენტი

პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის სასამართლოში განხილვისას პირი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად;

არასრულწლოვანთა დაცვა

ნებისმიერი არასრულწლოვანი სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარებით, მიუხედავად გადახდისუნარობის ფაქტისა, როგორც სისხლის ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან მიმართებით (სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოში).

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციის განწვევასა და იურიდიულ დახმარებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, თუ საქმეში არ მონაწილეობს მათ მიერ აყვანილი ადვოკატი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი სარგებლობს უფასო იურიდიული კონსულტაციით, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენით საქმეების შემთხვევაში, ასევე, საადვოკატო მომსახურებით სასამართლოში სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის, წარმომადგენლობით ადმინისტრაციული წარმოებისას.

მხარდაჭერის მიმღებ პირთა დაცვა

იურიდიული დახმარების სამსახური საკუთარი უფლებების დასაცავად მხარდაჭერის მიმღებ პირებს სთავაზობს უფასო იურიდიულ კონსულტაციას, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას საქმეების შემთხვევაში და წარმომადგენლობას სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით.

წარმომადგენლობა სასამართლოში სამოქალაქო საქმეებთან მიმართებით უზრუნველყოფილია, თუ პირისთვის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც უნდა განიხილოს სასამართლომ. ასევე, თუ მხარდაჭერის მიმღები პირი წარმომადგენს მხარეს სამოქალაქო საქმეზე.

წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ საქმეებზე უზრუნველყოფილია თუ მხარდაჭერის მიმღები პირი წარმომადგენს მხარეს ადმინისტრაციულ საქმეზე.

პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, უნდა ჰყავდეს ადვოკატი მიუხედავად მისი გადახდისუნარობისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობისა, ასევე, საქმის მნიშვნელობის და სირთულის მიუხედავად.

თავშესაფრის მაძიებლებისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა დაცვა

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციას, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენასა და სასამართლოში წარმომადგენლობას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით.

აღნიშნული პირები სარგებლობენ, იურიდიული კონსულტაციით, იურიდიული დოკუმენტების შედგენითა და წარმომადგენლობით ადმინისტრაციულ სასამართლოში, სადაც განიხილება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული დავა.

დოკუმენტების შედგენა უზრუნველყოფილია მიუხედავად თავშესაფრის მაძიებლის /საერთაშორისო დაცვის მქონე პირის გადახდისუნარიანობის ფაქტისა, ხოლო სასამართლოში წარმომადგენლობა კი, მიუხედავად გადახდისუნარიანობისა და საქმის მნიშვნელობის და სირთულის ფაქტისა.

ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია, თუ სასამართლო განიხილავს პირის საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებულ დავას.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა / სავარაუდო მსხვერპლთა დაცვა

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციასა და იურიდიულ დახმარებას ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისა და სავარაუდო მსხვერპლებისათვის, თუ საქმეში არ მონაწილეობს მათ მიერ აყვანილი ადვოკატი. იურიდიულ დახმარებაში იგულისხმება, როგორც სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება საჭიროებისამებრ, ასევე, წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით საქმის სირთულისა და მნიშვნელობის მიუხედავად, თუ საქმეში არ მონაწილეობს ძალადობის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის მიერ აყვანილი ადვოკატი.

წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით უზრუნველყოფილია, თუ სასამართლო განიხილავს დამცავი ორდერის გამოცემის საკითხს, აღნიშნულ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი არ არის სავალდებულო იყოს გადახდისუნარო. რაც შეეხება შემაკავებელი ორდერის გამოცემის საკითხს, აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი აკმაყოფილებდეს გადახდისუნარიანობის კრიტერიუმს.

2.3. მანდატის გაზრდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის

2022 წელს განხორციელებული ცვლილებების მიღებამდე, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებში დაზარალებულად ცნობილ სოციალურად დაუცველ პირებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ სრული იურიდიული დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე. მათთვის სახელმწიფოს ხარჯზე ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ იურიდიული კონსულტაციის, ხოლო გარკვეული კატეგორიის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე ასევე იურიდიული დოკუმენტებისა და სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება.

ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს მსხვერპლის მიმართ ეკონომიკური ძალადობა, როდესაც მსხვერპლს შეზღუდული აქვს წვდომა საერთო შემოსავალზე ან მოძალადე არ აძლევს საერთო მფლობელობაში არსებული ქონების განკარგვის შესაძლებლობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო, სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების მიღება არ ყოფილიყო დამოკიდებული მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ფაქტზე და მსხვერპლს, სხვა გარემოებებზე დაყრდნობითაც შეძლებოდა საკუთარი გადახდისუნარიანობის (მძიმე ფინანსური მდგომარეობის) დადასტურება.

აღნიშნული საკითხი განხილული იყო 2021 წლის 19 ოქტომბერს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურში ჩატარებული მოქალაქეთა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში. სამსახურის მიმართ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „უფასო იურიდიულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურმა შეიმუშაოს წესი, რომელიც მაქსიმალურად მოიცავს იმ პირთა წრეს, რომლებსაც ოჯახში კონფლიქტის ან ერთობლივ შემოსავალზე შეზღუდული წვდომის არსებობის შემთხვევაში ესაჭიროებათ იურიდიული დახმარება“.

რეკომენდაციების შესაბამისად, სამსახურმა საკანონმდებლო ორგანოსთან თანამშრომლობის შედეგად, შეიმუშავა ცვლილებების პროექტი. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, მიუხედავად მისი გადახდისუუნარობისა, თუ ეს საქმე ეხება უძრავ ნივთთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე და მეექვსე წიგნებიდან, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს შრომის კოდექსი“, აგრეთვე აღნიშნული კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე საკითხებს და აღნიშნული დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ფაქტთან, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით).

მანდატი გაიზარდა ასევე სისხლის სამართლის მიმართულებით. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულისა და 126¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის დაზარალებული, რომელიც იურიდიული დახმარების შესახებ კანონის მიხედვით, მიიჩნევა გადახდისუუნაროდ, სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით), ხოლო დაზარალებული, რომელიც ამ კანონის მიხედვით არ მიიჩნევა გადახდისუუნაროდ, უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფილია, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით) და დასტურდება შემდეგი გარემოება:

- ა) წინა 12 თვის განმავლობაში მისი, როგორც ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატებოდა 6 000 ლარს. ამავდროულად, საქართველოში რეგისტრირებულ კომერციულ ბანკებში მის სახელზე გახსნილ ანგარიშზე ცნობის გაცემის მომენტისთვის არსებული თანხის ოდენობა არ აღემატებოდა 500 ლარს, ხოლო ბოლო 90 დღის განმავლობაში ანგარიშზე არსებული თანხის ბრუნვა არ აღემატება 1500 ლარს. სხვადასხვა კომერციულ ბანკში ან ერთ ბანკში ერთზე მეტი ანგარიშის არსებობისას, ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანხის ოდენობის დადგენისას მხედველობაში მიიღება ამ ანგარიშებზე არსებული თანხის ჯამური ოდენობა;
- ბ) პირს აქვს მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რაც დასტურდება იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.



II

იურიდიული
დახმარების
სამსახურის
სტრუქტურა

1. იურიდიული დახმარების სამსახურის მენეჯმენტი



რაულენ კვარაცხელი -
იურიდიული დახმარების
სამსახურის დირექტორი



ნინო მელაძე -
დირექტორის პირველი მოადგილე



დავით სიმონია -
დირექტორის მოადგილე

2. იურიდიული დახმარების საბჭო



ირაკლი ზვარამაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. (ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებისგან შერჩეული წევრი);



თეა ჭიჭვილი - იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;



რამაზ ჩინგალაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;



კაკლე აბაიძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;



სოფო ჩიქვაშვილი - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისაგან შერჩეული წევრი);



თამარ ზვარამაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;



ნათო ირემაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური;

3. იურიდიული დახმარების სამსახურის აკარატივის სტრუქტურა

დირექტორი

- სამდივნო
- შიდა აუდიტის სამმართველო
- იურიდიული დახმარების სასწავლო ცენტრი
- საკონსულტაციო ცენტრების მონიტორინგის სამმართველო
- იურიდიულ საქმეთა სამმართველო
- დონორებთან ურთიერთობის და პროექტების მართვის სამმართველო
- საქმისწარმოების სამმართველო
- ფინანსური, შესყიდვების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველო
- ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო

დირექტორის პირველი მოადგილე

- სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველო;
- სისხლის სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველო;
- მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრისა და იურიდიული საქმისწარმოების პროგრამის მართვის სამმართველო.

დირექტორის მოადგილე

- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო

დირექტორის მოადგილე

- ანალიტიკური სამმართველო

4. იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები


4.1 14 იურიდიული დახმარების ბიურო

- თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო;
- გორის იურიდიული დახმარების ბიურო;
- გურჯაანის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო;
- თელავის იურიდიული დახმარების ბიურო;
- მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო;
- რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო;
- სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო.

4.2. 38 საკონსულტაციო ცენტრი

- ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი;
- მესტიის საკონსულტაციო ცენტრი;
- საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი;
- ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი;
- წალკის საკონსულტაციო ცენტრი;
- მარნეულის საკონსულტაციო ცენტრი;
- დმანისის საკონსულტაციო ცენტრი;
- დუისის საკონსულტაციო ცენტრი;
- დუშეთის საკონსულტაციო ცენტრი;
- ყვარლის საკონსულტაციო ცენტრი;
- ლაგოდეხის საკონსულტაციო ცენტრი;
- შუახევის საკონსულტაციო ცენტრი;
- ხულოს საკონსულტაციო ცენტრი;






- ქობულეთის საკონსულტაციო ცენტრი;
- წალენჯიხის საკონსულტაციო ცენტრი;
- აბაშის საკონსულტაციო ცენტრი;
- ჩხორონწყუს საკონსულტაციო ცენტრი;
- სენაკის საკონსულტაციო ცენტრი;
- მარტვილის საკონსულტაციო ცენტრი;
- ხობის საკონსულტაციო ცენტრი;
- ბაღდათის საკონსულტაციო ცენტრი;
- წყალტუბოს საკონსულტაციო ცენტრი;
- ჭიათურის საკონსულტაციო ცენტრი;
- ქედის საკონსულტაციო ცენტრი;
- ცაგერის საკონსულტაციო ცენტრი.
- ლენტეხის საკონსულტაციო ცენტრი.
- ონის საკონსულტაციო ცენტრი.
- ხაშურის საკონსულტაციო ცენტრი
- ახმეტის საკონსულტაციო ცენტრი
- დედოფლისწყაროს საკონსულტაციო ცენტრი
- ხარაგაულის საკონსულტაციო ცენტრი
- ტყიბულის საკონსულტაციო ცენტრი
- სამტრედიის საკონსულტაციო ცენტრი
- ხონის საკონსულტაციო ცენტრი
- ვანის საკონსულტაციო ცენტრი
- ლანჩხუთის საკონსულტაციო ცენტრი
- ადიგენის საკონსულტაციო ცენტრი

4.3. 1 დისტანციური მომსახურების ცენტრი

1 დისტანციური მომსახურების ცენტრი წეხოვანში, დევნიდა დასახლებაში.



5. საზოგადოებრივი ადვოკატიები

იურიდიული დახმარების ბიუროები	საზოგადოებრივი ადვოკატიები	ბიუროს უფროსი
თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო	48	1
ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო	5	1
ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო	14	1
გორის იურიდიული დახმარების ბიურო	6	1
ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო	6	1
ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო	7	1
თელავის იურიდიული დახმარების ბიურო	6	1
მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო	5	1
ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო	5	1
რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო	14	1
სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო	3	1
ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო	5	1
ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო	10	1

6. საზოგადოებრივი ადვოკატების სპეციალიზაცია

	სისხლის სამართლის სპეციალიზაცია	სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	ბავშვის უფლებათა კოდექსი
თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო	31	18	34	25
მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო	4	2	4	5
გორის იურიდიული დახმარების ბიურო	5	2	6	3
რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო	10	2	10	3
თელავის იურიდიული დახმარების ბიურო	5	2	6	5
სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო	3	1	4	2
ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო	4	2	3	4
ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო	5	2	5	2
ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო	9	2	11	4
ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო	4	2	6	4
ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო	6	2	7	2
ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო	10	5	9	6
ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო	3	2	4	2

7. სამსახურის საშტატო ნუსხა, კონკურსები

იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 225 საშტატო ერთეულს.

2022 წლის მონაცემებით, საშტატო ნუსხით განსაზღვრულ პოზიციებზე დასაქმებულია 161 თანამშრომელი. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულია 133 თანამშრომელი (მათ შორის 22 მძღოლი და 14 ბიუროს სპეციალისტი). მათ შორის, დროებითი ფუნქციების შესრულების მიზნით წლის სხვადასხვა პერიოდში დასაქმებულ იქნა 23 თანამშრომელი.

2022 წელს, ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს მიერ გამოცხადებულ იქნა 40 გამარტივებული და 13 ღია კონკურსი.

სამსახურის აპარატში გამოცხადებული კონკურსის შედეგად კანდიდატი შერჩეულ იქნა შემდეგ პოზიციებზე:

იურიდიულ საქმეთა სამმართველოს უფროსი	1
დირექტორის მოადგილე	1
ანალიტიკური სამმართველოს უფროსი	1
იურიდიული დახმარების სასწავლო ცენტრის უფროსი	1
დირექტორის თანაშემწე	1
ანალიტიკოსი	1



იურიდიული დახმარების ბიუროებში და საკონსულტაციო ცენტრებში გამოცხადებული კონკურსის შედეგად კანდიდატები შერჩეულ იქნენ შემდეგ პოზიციებზე:

ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი	3
ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი	1
რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი	5
მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი	1
თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსის მოადგილე	1
ახალციხის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი	1
ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი	3
გორის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი	1
გურჯაანის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი	1
ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი	1
თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი	9
სამტრედიის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი	1
ტყიბულის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი	1
ნალენჯიხის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი	1
წყალტუბოს საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი	1
ხონის და ვანის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი	1

იურიდიული დახმარების ბიუროებში და საკონსულტაციო ცენტრებში გამოცხადებული კონკურსის შედეგად შემდეგ პოზიციებზე სულ შერჩეულ იქნენ:

საზოგადოებრივი ადვოკატი - 24 პოზიცია;

ბიუროს უფროსის მოადგილე - 1 პოზიცია;

ბიუროს კონსულტანტი - 1 პოზიცია;

საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი - 6 პოზიცია.

8. სტაჟირება, იურიდიული კლინიკა

იურიდიული დახმარების სამსახურის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდა სამსახურის იურიდიული კლინიკა. იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკა ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტების ბაკალავრისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკა სტუდენტებს პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავების, ასევე თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის კლინიკური სწავლება ხორციელდება იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებში. კლინიკის მონაწილე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მენტორ ადვოკატთან ერთად განახორციელონ პრაქტიკული საქმიანობა.

2022 წელს, იურიდიული კლინიკის ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურში სტაჟირება გაიარა 3 უმაღლესი სასწავლებლის 29 სტუდენტმა.

2022 წლის გაზაფხულის სემესტრი:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 3 სტუდენტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - 12 სტუდენტი;
- ალტე უნივერსიტეტი - 1 სტუდენტი.

2022 წლის შემოდგომის სემესტრი:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 4 სტუდენტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - 6 სტუდენტი;
- ალტე უნივერსიტეტი - 3 სტუდენტი.

2022 წელს, სამსახურში პირადი განცხადების საფუძველზე სტაჟირება გაიარა 11-მა სტაჟიორმა.





III

იურიდიული
დახმარების
სამსახურის
ხელმისაწვდომობა

1. ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდა

2022 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა რეგიონებში გახსნა 1 იურიდიული დახმარების ბიურო და 7 საკონსულტაციო ცენტრი. კერძოდ:

- გურჯაანის იურიდიული დახმარების ბიურო - 2022 წლის 15 სექტემბერი;
- ხონის საკონსულტაციო ცენტრი - 2022 წლის 20 ივნისი;
- ლანჩხუთის საკონსულტაციო ცენტრი - 2022 წლის 21 ივნისი;
- ხარაგაულის საკონსულტაციო ცენტრი - 2022 წლის 23 აგვისტო;
- სამტრედიის საკონსულტაციო ცენტრი - 2022 წლის 24 აგვისტო;
- ვანის საკონსულტაციო ცენტრი - 2022 წლის 25 აგვისტო;
- ტყიბულის საკონსულტაციო ცენტრი - 2022 წლის 26 აგვისტო;
- ადიგენის საკონსულტაციო ცენტრი - 2022 წლის 26 ოქტომბერი.

2022 წლის ბოლოს, სამსახურის ბიუროების რაოდენობამ შეადგინა 14, ხოლო საკონსულტაციო ცენტრების რაოდენობამ - 38.

საკონსულტაციო ცენტრების გახსნასთან ერთად, თითოეულ ლოკაციაზე, ჩატარდა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასევე მუნიციპალიტეტის და სოციალური სამსახურების წარმომადგენლებთან და სოფლების რწმუნებულებთან გაიმართა საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები. შეხვედრაზე დამსწრე პირებს მიეწოდათ ინფორმაცია შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:

- უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა საქართველოში და დახმარების მიღების კრიტერიუმები;
- იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები;
- ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა, ეთიკის საკითხები;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები;
- დამცავი და შემაკავებელი ორდერები;
- ბავშვის უფლებები;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები;
- ტრეფიკინგი;
- შშმ პირთა უფლებები;
- დისკრიმინაცია;

2022 წლის 20 ივნისს, ხონში გაიხსნა იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი. გახსნის ღონისძიების შემდეგ, ხონის დევნილთა დასახლების კულტურის ცენტრში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია უფასო იურიდიული დახმარების მიღების კრიტერიუმებზე, ბავშვის უფლებებზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. სამსახურის იურისტებმა შეხვედრის დასრულების შემდგომ, დაინტერესებულ პირებს სამართლებრივი კონსულტაცია გაუწიეს.

2022 წლის 21 ივნისს, საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა ლანჩხუთში. საკონსულტაციო ცენტრის გახსნის შემდეგ, საკრებულოს შენობაში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის, საკრებულოს წარმომადგენლებთან, გენდერული საბჭოს წევრებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. დამსწრე საზოგადოებას სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა გააცნო ინფორმაცია სამსახურის სერვისების, მიმდინარე პროექტებისა და აქტუალური სამართლებრივი სა-



კითხვების შესახებ. მოსახლეობას შეხვედრის დასრულების შემდგომ, შესაძლებლობა ჰქონდა სამსახურის იურისტებისთვის დაესვა კითხვები და მიეღო კვალიფიციური პასუხი მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე.

2022 წლის 23 აგვისტოს, ხარაგაულში იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა. გახსნის ღონისძიებაში სამსახურის დირექტორთან, რაჭდენ კუპრაშვილთან ერთად, მონაწილეობდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი, კობა ლურსმანაშვილი და ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი, გელა ბერაძე. ოფისის გახსნის შემდეგ, გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომლის ფარგლებშიც დამსწრე პირებს მიენოდათ ინფორმაცია სამსახურის მიზნებისა და ფუნქციების, უფასო იურიდიული სერვისებით სარგებლობისა და მიმდინარე პროექტების შესახებ.

2022 წლის 24 აგვისტოს, იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა სამტრედიისში. გახსნის ღონისძიებაში, სამსახურის დირექტორთან რაჭდენ კუპრაშვილთან ერთად, მონაწილეობა მიიღო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ და ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა გელა სიორდიამ. ოფისის გახსნის შემდეგ, გაიმართა შეხვედრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, აგრეთვე, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებასთან. დღის მეორე ნახევარში, სოფელ დიდ ჭიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა შეხვედრა მოსახლეობასთან. ადგილობრივებს მიენოდათ ინფორმაცია უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის კრიტერიუმებთან დაკავშირებით, ასევე აქტუალური სამართლებრივი საკითხების შესახებ.

2022 წლის 25 აგვისტოს, იურიდიული დახმარების სამსახურის მორიგი საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა ვანში. გახსნის ღონისძიებაში, სამსახურის დირექტორთან, რაჭდენ კუპრაშვილთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ვანის მუნიციპალიტეტის მერმა, ალექსანდრე გოგორიშვილმა და ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა, გელა სიორდიამ. საკონსულტაციო ცენტრის გახსნის შემდგომ, შეხვედრა გაიმართა ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციასა და სოციალური სამსახურების წარმომადგენლებთან, რომელთაც სამსახურის დირექტორმა გააცნო უფასო სამართლებრივი დახმარების სერვისები.

2022 წლის 26 აგვისტოს, იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა ტყიბულში. გახსნის ღონისძიებაში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორთან რაჭდენ კუპრაშვილთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა გელა სიორდიამ. საკონსულტაციო ცენტრის გახსნის შემდეგ, გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. ადგილობრივებს მიენოდათ ინფორმაცია სამსახურის მიზნებისა და ფუნქციების, უფასო იურიდიული სერვისებით სარგებლობისა და მიმდინარე პროექტებზე.

2022 წლის 26 ოქტომბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის ცენტრი გაიხსნა ადიგენში. სამსახურის დირექტორმა რაჭდენ კუპრაშვილმა წარადგინა პრეზენტაცია უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის, დახმარების მიღების კრიტერიუმების, სამსახურის პროექტების შესახებ. შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინეს კონსულტანტი ლაშა ჯაფიაშვილი, რომელიც ამ დრომდე ახალციხის იურიდიული დახმარების ბიუროს საშუალებით უწევდა დახმარებას ადიგენელებს. ამჯერად, იგი მოქნილი გრაფიკის საშუალებით ადგილზე გაუწევს დახმარებას დაინეტრესებულ პირებს.

2022 წლის 15 სექტემბერს, გურჯაანში (ნონეშვილის ქ.#4) იურიდიული დახმარების სამსახურის რიგით მე-14 ბიურო გაიხსნა. სამსახურის დირექტორმა რაჭდენ კუპრაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა ბიუროს კონსულტანტი გურანდა გიაშვილი, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში შეძლებს სამართლებრივი კონსულტაციის გაცემას დაინეტრესებული პირებისათვის. გურჯაანის ბიუროს საქმიანობას გაუძღვება ადვოკატი ლიანა ჭუნიაშვილი, რომელიც ამავდროულად თელავის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსიცაა. აღსანიშნავია, რომ დღემდე გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უფასო სამართლებრივი დახმარების მიღება სწორედ თელავის ბიუროს საშუალებით იყო შესაძლებელი.

2. ხელოვნური ინტელექტი იურიდიული დახმარების სამსახურში

2022 წლის 7 სექტემბერს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურსა და გერმანულ კომპანია KnowledgeTools International GmbH-ს - შორის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. შეთანხმება მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრამდე პროგრამა LOGOS-ის - ის გამოყენებას იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციისათვის.

აღნიშნული პროგრამა, ხელოვნური ინტელექტის საშუალებით, უზრუნველყოფს დიდი მოცულობის მონაცემების სწრაფ დამუშავებასა და სპეციალური ალგორითმის მეშვეობით, ახდენს მითითებული სხვადასხვა დავალებების შესრულებას.

2022 წელს, გერმანულმა კომპანიამ, საპილოტედ, უფასოდ გადმოსცა იურიდიული დახმარების სამსახურს აღნიშნული პროგრამა და თავისი ხარჯებითვე მოახდინა პროგრამაში სამართლის ორი მიმართულების ინჟინერია (ალიმენტის მოთხოვნა, უღირს შემკვიდრედ ცნობა). ორივე სამართლის მიმართულებით, სამსახურის კონსულტანტები უკვე იყენებენ აღნიშნულ პროგრამას კონსულტაციების გაცემისა და დოკუმენტების მომზადების პროცესში.


ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იძლევა შესაძლებლობას ბენეფიციარებს მაქსიმალურად მოკლე დროში გაეჩინოთ წერილობითი კონსულტაცია. მომზადდეს კვალიფიციური სარჩელები და განცხადებები, რომლებიც სამართლებრივად დასაბუთებული იქნება, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებით.

2022 წლის 13 ოქტომბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით და ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში COE მხარდაჭერით, გაიმართა კონფერენცია დისკუსია „სამართლის დიგიტალიზაცია - მომავალი არის დღეს“.

კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა პანელური დისკუსია, რომელიც გახსნა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა. ასევე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა KnowledgeTools International GmbH-ის დირექტორმა თილო ვენდიმ. კონფერენცია მოიცავდა ასევე პანელურ დისკუსიას სამართლის დიგიტალიზაციის საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობდნენ: პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი, შტაინბაისის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ხუბუა, სამართლის ინჟინერი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლადო სირდაძე, ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში - ხელმძღვანელის მოადგილე სტეფან სირბუ, სამართლის დოქტორი, ბტუ კვლევების ცენტრის დირექტორი ზვიად გაბისონია და „METRIC - იურიდიული და ფინანსური კონსულტაცია“ დამფუძნებელი პარტნიორი ლაშა კალანდაძე.

2022 წლის ოქტომბერში, სამსახურის მიერ მომზადდა ვიდეო რგოლი ხელოვნური ინტელექტის პროგრამის გამოყენებასთან დაკავშირებით.

2022 წლის დეკემბერში, სამსახურის საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, „ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში“ და „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID Rolp - ის მხარდაჭერით) დაიწყო ხელოვნური ინტელექტის პროგრამა LOGOS-ში შრომის კანონმდებლობის მოდულის ჩაშენება.



3. საკონსულტაციო აპლიკაცია

ბენეფიციარებისთვის სამსახურის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მომსახურების კომფორტული ფორმით მიწოდების მიზნით, სამსახური იყენებს მობილურ საკონსულტაციო აპლიკაციას LAS Georgia, რომელიც ხელმისაწვდომია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები პირისათვის და მისი ჩამოტვირთვა შესაძლებელია, ნებისმიერი სისტემის მქონე ტელეფონის მეშვეობით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აპლიკაცია საშუალებას აძლევს ბენეფიციარს, სურვილის შემთხვევაში, არ გაამჟღავნოს საკუთარი ვინაობა, დარჩეს ანონიმურად და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამჟღავნების გარეშე მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია.

2022 წელს, აპლიკაციის მუშაობაში ჩაერთო სამსახურის 19 კონსულტანტი, რომლებიც მობილური საკონსულტაციო აპლიკაციის მანდატის მიხედვით, გადამზადდნენ შემდეგ სამართლებრივ თემებში: ბავშვის უფლებებები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები, ტრეფიკინგი.

სპეციალურად აპლიკაციისთვის, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამისა (USAID RoLP) და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (UN OHCHR) მხარდაჭერით, შეიქმნა ხშირად დასმული კითხვების ბანკი შემდეგ თემებზე: შშმ პირთა უფლებები, წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, ქალთა უფლებები, ტრეფიკინგი, ადამიანით ვაჭრობა. სამომავლოდ, იგეგმება აპლიკაციის მანდატის გაფართოება.



4. სამსახურის ვებ-გვერდები

4.1. ძირითადი ვებგვერდი



2022 წელს, კვლავ ფუნქციონირებს იურიდიული დახმარების სამსახურის ძირითადი ვებგვერდი www.legalaid.ge რომელიც მოიცავს ინფორმაციას სამსახურის შესახებ, სამართლებრივ აქტებს, სიახლეებს, კანონმდებლობას, ინფორმაციას სამსახურის თანამშრომლების შესახებ, ადმინისტრაციული და რეგიონული ოფისების მისამართებს და სხვა საკონტაქტო ინფორმაციას. ვებგვერდზე მუშაობს ჩაბრუნების, სადაც შესაძლებელია იურიდიული კონსულტაციის მიღება ქოლ-ცენტრის ოპერატორებთან. ვებგვერდი ადაპტირებულია სუსტი და მხედველობის არმქონე პირთათვის, მთლიანად თარგმნილია ინგლისურ და რუსულ ენებზე, ხოლო „ხშირად დასმული კითხვები“ ასევე ხელმისაწვდომია ოსურ, აფხაზურ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.



გარდა ამისა, 2022 წელს სამსახურმა დაიწყო მუშაობა ახალ ვებგვერდზე, www.las.ge, რომელიც ფუნქციონალურად სრულიად ახალი ვებგვერდი იქნება (სამუშაო ვერსია ხელმისაწვდომია დომეინზე www.new.legalaid.ge) და ხელოვნური ინტელექტის, სამართლის გაციფრვის და ავტომატიზაციის გამოყენებით, შესაძლებელია მყისიერი კონსულტაციის მიღება სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. ვებგვერდზე ჩაშენებულია რუკა, რომლის დახმარებით მომხმარებელს შეუძლია მონიშნოს მისთვის სასურველი ტერიტორია და მიიღოს ინფორმაცია მასთან ახლოს მდებარე ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების შესახებ. გარდა ამისა, ბენეფიციარს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ბიუროში/საკონსულტაციო ცენტრში დასაქმებული ადვოკატებისა და კონსულტანტების შესახებ. მათ შორის, მათ მიერ ნაწარმოები საქმეების რაოდენობის, განუული კონსულტაციებისა, ვინრო სპეციალიზაციისა და გავლილი გადამზადების თაობაზე.

გარდა ამისა, ვებგვერდზე განთავსებულია სტატისტიკის განყოფილება, სადაც მოცემულია წარმოებაში მიღებული საქმეების რაოდენობა დარგების მიხედვით. ვებგვერდს ასევე დაემატა პროექტების გვერდი, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია გააკეთოს განაცხადი პროექტში ჩართვასთან დაკავშირებით.

4.2. ბავშვთა ვებგვერდი

იურიდიული დახმარების სამსახურს გააჩნია ვებგვერდი სპეციალურად ბავშვებისთვის www.children.las.ge, რომელზეც წარმოდგენილია ინფორმაცია როგორც იურიდიულ თემებზე, ასევე ფსიქოლოგიურ და სოციალურ საკითხებზე.

ვებგვერდი შვიდენოვანია (ქართული, ინგლისური, რუსული, სომხური აზერბაიჯანული, ოსური და აფხაზური) და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის (სმენადაქვეითებული, სუსტი და მხედველობის არმქონე).

2022 წელს, ბავშვთა ვებგვერდს დაემატა პროექტი „იყავი თაობა, რომელიც იმარჯვებს“. ვებგვერდზე განთავსდა პროექტის ფარგლებში, სკოლის მოსწავლეების მიერ გადაღებული ვიდეოები ბულინგის, ბავშვთა უფლებების საკითხებზე. ასევე, განახლდა პოდკასტები, დაემატა ფილმები და წიგნები. ეტაპობრივად, იდებოდა ინფორმაცია სამსახურში მიმდინარე პროექტებისა და სიახლეების შესახებ.

გარდა ამისა, განახლდა ველი და ფორუმში მთელი წლის განმავლობაში, ყოველთვიურად იცვლებოდა თემები.



5. გასვლითი საკონსულტაციო-საინფორმაციო ღონისძიებები

2022 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა 63 საინფორმაციო გასვლითი შეხვედრა, რომელსაც საერთო ჯამში დაესწრო 3000-ზე მეტი ადამიანი. შეხვედრები ჩატარდა შემდეგ ლოკაციებზე:

- თბილისი
- ბათუმი
- ქუთაისი
- ჯარიაშენი (გორის მუნიციპალიტეტი)
- წალენჯიხა
- ხობი
- სენაკი
- ჩხორონყუ
- მარტვილი
- ჭრებალო (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი)
- ჩორჩანა (ხაშურის მუნიციპალიტეტი)
- ხონის დევნილთა ჩასახლება
- ლანჩხუთი
- ნაზარლო (გარდაბნის მუნიციპალიტეტი)
- ყარაჯალა (გარდაბნის მუნიციპალიტეტი)
- შულავერი (მარნეულის მუნიციპალიტეტი)
- ტალავერი (ბოლნისის მუნიციპალიტეტი)
- სოფელი ბოლნისი (ბოლნისის მუნიციპალიტეტი)
- ორზომანი (დმანისის მუნიციპალიტეტი)
- ყარაბულაზე (დმანისის მუნიციპალიტეტი)
- ხარაგაული
- ვანი
- სამტრედია
- ტყიბული
- ქედა,
- გურჯაანი
- ხულო
- შუახევი
- ხელვაჩაური
- კოდისწყარო (კასპის მუნიციპალიტეტი)
- ჟაშქვა (ონის მუნიციპალიტეტი)
- სორბითი (ონის მუნიციპალიტეტი)
- პიპილეთი (ონის მუნიციპალიტეტი)
- ონჭევი (ონის მუნიციპალიტეტი)
- ადიგენი
- ტყაია (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი)
- შავშვები (გორის მუნიციპალიტეტი)
- ქობულეთი
- მუხაესტატე (ქობულეთის მუნიციპალიტეტი)
- გორი
- ფოთი
- წონიარისი (ქედის მუნიციპალიტეტი)
- მახუნცეთი (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი)
- ჩაქვი (ქობულეთის მუნიციპალიტეტი)
- აჭარისწყალი (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი)
- ქერე (გორის მუნიციპალიტეტი)
- ზუგდიდი
- მესტია

გასვლითი შეხვედრების ნაწილი ჩატარდა პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით: „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID Rolp), ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში (CoE) შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია).

5.1. „ეთნიკური უმცირესობებისთვის უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა“

2022 წელს, შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, ქვემო ქართლში ჩატარდა საინფორმაციო კამპანია საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, რომელიც მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად. კამპანიაში აქტიურად ჩაერთო იურიდიული დახმარების სამსახური. სულ ჩატარდა 7 შეხვედრა.

შეხვედრები გაიმართა:

- 2022 წლის 27 ივნისს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ნაზარლოსა და ყარაჯალარში;
- 2022 წლის 28 ივნისს, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერში;
- 2022 წლის 29 ივნისს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების - ტალავერისა და ბოლნისში;
- 2022 წლის 30 ივნისს, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ოროზმანსა და ზემო ყარაბულახში.



5.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანია

25 ნოემბრიდან - 10 დეკემბრამდე მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს გლობალური კამპანია „ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“. იურიდიული დახმარების სამსახური არის ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად ჩართულია ქალთა უფლებების დაცვის საქმეში. სამსახურის წარმომადგენლებმა 2022 წლის კამპანიის „ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში, არაერთ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა.

2022 წლის 25 ნოემბერს, იურიდიული დახმარების ბათუმის ბიუროს ადვოკატმა გვანცა თურმანიძემ წარადგინა პრეზენტაცია ქედის მუნიციპალიტეტში არსებულ ე.წ. „ქალთა ოთახი“-ში. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო ბენეფიციართა მაქსიმალურად ინფორმირება, როგორც ზოგადად ქალთა უფლებების, ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის, ასევე ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებებსა და მათი დაცვის სახელმწიფო მექანიზმებზე და საშუალებებზე.



9 ნოემბერს, გორის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი ნინო მასურაშვილი მონაწილეობდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შავშვებში გამართულ შეხვედრაში, რომელიც ორგანიზებული იყო გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მიერ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის ოფისთან ერთად. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ახლომდებარე სოფლების: წითელუბნის, ნანრეტის, შავშვების დევნილთა ჩასახლების, ხურვალეთის, და ნადარბაზევის მცხოვრებლები. ნინო მასურაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნო უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების კრიტერიუმები, იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები. ყურადღება გამახვილდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა და ევროპელმა მონიტორებმა ისაუბრეს ქალთა ჩართულობის გაზრდის მნიშვნელობაზე გადამწყვეტილების მიღების პროცესში, სახელმწიფოში არსებული მსხვერპლთათვის განკუთვნილი დაცვისა და დახმარების მექანიზმებზე. ასევე, ქალთა განათლების, განვითარებისა და დასაქმების მნიშვნელობაზე, უფასო იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარების მიღების შესაძლებლობებზე.

2022 წლის 2 დეკემბერს, გლობალური კამპანიის ფარგლებში, პარალელურად ერთად, შეხვედრა გაიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან. ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა იამზე ზანდარაძემ გენდერული საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია უფასო იურიდიული სერვისებით სარგებლობისა და სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ. ხოლო, პარალელურად ისაუბრეს ქალთა უფლებებთან დაკავშირებულ ისეთი საკითხებზე, როგორცაა: მემკვიდრეობის მიღება, განქორწინება, შრომითი უფლებები, დამცავი და შემაკავებელი ორდერი.

2022 წლის 23 დეკემბერს, გორის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი ნინო მასურაშვილი, კონფლიქტისპირა ზონის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეხვედა. კონსულტანტი შეკრებილ საზოგადოებას ესაუბრა, როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების, ასევე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის საკითხებზე. აუდიტორიის მხრიდან დაისვა შეკითხვები უძრავი ქონების განკარგვაზე, ოჯახში ძალადობაზე, საოჯახო დავებზე, მემკვიდრეობაზე და სამისდღეო რჩენაზე. ნინო მასურაშვილმა დაინტერესებულ პირებს გაუწია ინდივიდუალური კონსულტაციები.

5.3. შეხვედრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან

2022 წლის 22 მარტს, ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონში“, ევროკავშირის (EU) და სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით, გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის 2022 წლის სამოქმედო გეგმის - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის“ წარდგენა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აჭარაში მოქმედი მზრუნველობისა და სხვა უფლებადამცველი ორგანიზაციები, მათ შორის, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლები, შშმ თემის სხვა წარმომადგენლები. შეხვედრაში მონაწილეობა ასევე მიიღო გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის უფროსმა მრჩეველმა სამხრეთ კავკასიაში, ვლადიმერ შკოლნიკოვმა.

2022 წლის 11 მაისს, თბილისში, სასტუმრო რედისონ ბლუ ივერიაში, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2022 წლის სამოქმედო გეგმის - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის“ წარდგენა გაიმართა. ინიციატივის მხარდამჭერია სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), გაეროს მდგრადი განვითარების მიზნის ფონდის (UN SDG Fund) ფინანსური ხელშეწყობით. მონაწილეებს - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მიმართეს: საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სარჯველაძემ, მისმა მოადგილემ ალუდა ლუდუშაურმა, პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ნიკო თათულაშვილმა, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის უფროსმა მრჩეველმა სამხრეთ კავკასიაში ვლადიმერ შკოლნიკოვმა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირინე ობოლაძემ.

5.4. სამთავრობო გეგმებიდან გამომდინარე ვალდებულებები

„ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოების შესახებ“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლის საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა 6 საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრა. კერძოდ:

2022 წლის 5 მაისს, შეხვედრა გაიმართა გორის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ ჭარიაშენში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან. შეხვედრა ორგანიზებული იყო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ და მასში გორის იურიდიული დახმარების ბიუროს წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობდნენ შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის, მსხვერპლთა დახმარების სააგენტოს და ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული საბჭოს წარმომადგენლები.



2022 წლის 14 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანაში გაიმართა შეხვედრა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე უფასო იურიდიული დახმარების მიღების კრიტერიუმებზე, ბავშვის უფლებათა კოდექსზე. შეხვედრაში იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლების გარდა, მონაწილეობდნენ შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის, მსხვერპლთა დახმარების სააგენტოს და ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული საბჭოს წარმომადგენლები.

2022 წლის 30 სექტემბერს, გორის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი გიგა ჯეირანაშვილი და კონსულტანტი ნინო მასურაშვილი მონაწილეობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ კოდისწყაროში ჩატარებულ შეხვედრაში. იურისტებმა მოსახლეობას მიაწოდეს ინფორმაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ქალთა უფლებებზე, ასევე, უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების კრიტერიუმებზე, სამსახურის სერვისებზე.

2022 წლის 28 ოქტომბერს, ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი ნინო მინჯია შეხვდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ ტყაიას სკოლაში შეკრებილ მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს. კონსულტანტმა ისაუბრა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ქალებისა და გოგონების უფლებებზე, ბავშვის უფლებათა დაცვის კოდექსსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, ასევე, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის, მსხვერპლთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლები.

2022 წლის 29 დეკემბერს, ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი რომან კვიციანი და კონსულტანტი ნინო მინჯია, აფხაზეთის მე-12 საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეხვდნენ. შეხვედრის ფარგლებში, სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების, ასევე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე ბავშვის უფლებათა კოდექსზე.



IV

ვაქცინით კანონი
ყველასათვის
ხელმისაწვდომი

2021 წლის 11 ივნისს, სასტუმრო თბილისი-მერიოტში, ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მოძრაობას „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“.

2022 წელს აქტიური და ფართო ხასიათი მიიღო მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართულმა საინფორმაციო კამპანიამ - მოძრაობა „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“.

1. მოძრაობის აქტივობები

1.1. გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები

2022 წელს, მოძრაობის ფარგლებში სამსახურის მიერ განხორციელდა გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები. შეხვედრის ფარგლებში მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:

- უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა საქართველოში და დახმარების მიღების კრიტერიუმები;
- იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები;
- ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა, ეთიკის საკითხები;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები;
- დამცავი და შემაკავებელი ორდერები;
- ბავშვის უფლებები;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები;
- ტრეფიკინგი;
- შშმ პირთა უფლებები;
- დისკრიმინაცია;ია;

1.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმიტირებული პროცესები

პროექტი „ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი“, იურიდიული დახმარების სამსახურმა ჯერ კიდევ 2021 წელს დაიწყო და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს. იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მსაჯულებად წარმოდგენილი არიან რეგიონიდან შერჩეული მონაწილეობის სურვილის მქონე ადამიანები.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმიტირებული პროცესების ჩატარების მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებაში ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის ცნობადობის გაზრდა, მართლმსაჯულების ინსტიტუტებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლება, ადგილობრივი მოსახლეობის მომზადება რეალური სასამართლო პროცესებისათვის.

იმიტირებული პროცესები თავის მხრივ, საზოგადოებრივ ადვოკატებს აძლევს დამატებით გამოცდილებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროცესებზე მონაწილეობისათვის საჭირო უნარების განვითარებისა და დახვეწისათვის.

2022 წელს, საქართველოს მასშტაბით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს 12 იმიტირებული პროცესი ჩატარდა. კერძოდ იმიტირებული სასამართლო პროცესები ჩატარდა შემდეგ ლოკაციებზე:

- თბილისი;
- რუსთავი;
- ლანჩხუთი;
- აბაშა;
- ზუგდიდი;
- ფოთი;
- ხონი;
- ოზურგეთი;
- ბათუმი;

2022 წლის 3 მაისს, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა რუსთავის 28-ე საჯარო სკოლაში. ღონისძიებას დაესწრო 24 ადამიანი.

2022 წლის 17 მაისს, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. ღონისძიებას დაესწრო 49 ადამიანი.

2022 წლის 17 მაისს, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 27 ადამიანი.

2022 წლის 18 მაისს, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა ფოთის საქალაქო სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 26 ადამიანი.

2022 წლის 7 ივნისს, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა თბილისის 124-ე საჯარო სკოლაში. ღონისძიებას დაესწრო 24 ადამიანი.

2022 წლის 20 ივნისს, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა ხონის მაგისტრატ სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 19 ადამიანი.

2022 წლის 21 ივნისს, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა ლანჩხუთის მაგისტრატ სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 17 ადამიანი.

2022 წლის 22 ივნისს, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 16 ადამიანი.

2022 წლის 18 სექტემბერს, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 18 ადამიანი.

2022 წლის 10 დეკემბერს, იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 43 ადამიანი.

2022 წლის 14 დეკემბერს, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 35 ადამიანი.

2022 წლის 15 დეკემბერს, ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ღონისძიებას დაესწრო 35 ადამიანი.

1.3. იცოდეთ შენი უფლება 18 წლამდე

არასრულწლოვანთა სამართლებრივი ცნობიერების გაზრდის მიზნით, თბილისისა და რეგიონების სკოლებში ჩატარდა 6 შეხვედრა, რა დროსაც სკოლის მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია შემდეგ თემებზე:

- ბავშვის უფლებები;
- ბულინგი;
- დისკრიმინაცია;
- ტოლერანტობა;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა;
- გენდერული თანასწორობა;
- ოჯახში ძალადობა;
- შრომითი უფლებები;
- განრიდება და მედიაცია.

შეხვედრები ჩატარდა:

- სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლაში;
- თბილისის მე-18 საჯარო სკოლაში;
- თბილისის 124-ე სკოლაში;
- ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის #N5 საჯარო სკოლაში;
- ფოთის გიორგი მყონდიდლის სახელობის #7 საჯარო სკოლაში;
- თბილისის N 169-ე სკოლაში;

2022 წლის 2 ივნისს, ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი თეა ჩიკვაძე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლას ეწვია. სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები გაეცნენ იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისებს, ბავშვის უფლებათა კოდექსისა და ბავშვთა დაცვის ევროპული კონვენციის პუნქტებს. თეა ჩიკვაძემ მოსწავლეებს ასევე გააცნო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები და დეტალურად ისაუბრა იმ საშუალებებზე, რომლებიც ბავშვთა უფლებების დასაცავად ჩვენს სახელმწიფოში მოქმედებს.



2022 წლის 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები თბილისის მე-18 საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვედნენ. სკოლის მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია, როგორც ბავშვის უფლებათა კოდექსისა და ბავშვის უფლებათა კონვენციის, ბულინგის, ტოლერანტობის, ინკლუზიური განათლების, ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებს და რაც მთავარია, იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისებს, რომელიც გულისხმობს არამართო უფასო სამართლებრივი კონსულტაციის განევას, არამედ წარმომადგენლობის განხორციელებას ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში ნებისმიერი ბავშვის ინტერესების დასაცავად და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას. მოსწავლეების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ბულინგის თემამ. ბავშვებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები და სურვილი, რომ მსგავსი შეხვედრები კვლავ ჩატარდეს.

2022 წლის 15 აპრილს, იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრისა და ანალიტიკური სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისის 124-ე სკოლაში შეხვედრა გამართეს. პრეზენტაციის ფარგლებში, ბავშვებს მიეწოდათ ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების, ბავშვის უფლებათა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საკითხებზე.

2022 წლის 28 ნოემბერს ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლები შეხვდნენ ქალაქ ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის #N5 საჯარო სკოლის IX-X-XI-XII კლასის მოსწავლეებს. არასრულწლოვნებს განემართათ უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების კრიტერიუმები. ასევე წარედგინათ პრეზენტაცია თემაზე „არასრულწლოვანი და მართლმსაჯულება“.

2022 წლის 29 ნოემბერს, ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლები შეხვდნენ ქ. ფოთის გიორგი ჭყონდიდლის სახელობის #7 საჯარო სკოლის მოსწავლეებს, შეხვედრის მიზანი იყო მონაწილეობა ბავშვთა ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიაში „არა ბავშვთა ძალადობას! ძალა უფლებას!“. სამსახურის წარმომადგენლებმა წარადგინეს პრეზენტაცია ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2022 წლის 9 დეკემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები თბილისის N169-ე სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ. იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტმა მათ ნოზაძემ ბავშვებს გააცნო სამსახურის სერვისები და პროექტები. ასევე ისაუბრა თემებზე: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე. სამსახურის ფსიქოლოგებმა - თამარ სიმონიამ, ქეთევან ჯაყელმა და ნინო ჩაჩავამ ისაუბრეს ზემოაღნიშნულ საკითხებზე ფსიქოლოგიურ მხრივ. ასევე გამოიყენეს ინტერაქციული მეთოდი და ბავშვებთან ერთად განიხილეს რამდენიმე ქეისი.



V

პროექტი
„პარალეგალი“




1. პროექტის მიზანი

2022 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის ინიციატივით, მოძრაობის „ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი“ ფარგლებში, დაიწყო პროექტი „პარალელგალი“.

პარალელგალი არის არაიურისტი პირი, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ დაგეგმილი გადამზადების პროგრამის გავლის შემდეგ, შეძლებს მოსახლეობას გაუწიოს პირველადი კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებზე. პარალელგალი შესაძლოა იყოს ნებისმიერი პროფესიისა და საქმიანობის პირი ან პროფესიის არმქონე პირი, საჯარო თუ კერძო სექტორში დასაქმებული პირი, ან პირი, რომელიც საერთოდ არ არის დასაქმებული, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნის შეძენისა და ამ ცოდნის საზოგადოებისათვის მიწოდების სურვილი. პარალელგალის დანიშნულებას წარმოადგენს ასევე სამსახურისათვის დახმარების გაწევა ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციაში, ადგილობრივი ადათ-წესებისა და ჩვეულებების გათვალისწინებით.

პროექტის ფარგლებში, სამსახურმა შექმნა პარალელგლების ქსელი (არაიურისტი პირების რეესტრი), რომლის საშუალებითაც ადგილობრივ მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია მათი უფლებების ასევე უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ და გაეწევა პირველად სამართლებრივი კონსულტაცია.

პირველ ეტაპზე, სამსახურმა საქართველოს მასშტაბით განახორციელა პროექტ „პარალელგალი“ მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია, ხოლო აჭარის რეგიონში USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით უკვე აქტიურად მიმდინარეობს პარალელგლების გადამზადება.



2 აჭარის რეგიონში პროექტ „პარალელგალის“ ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

2.1. პარალელგლების გადამზადება და კარიერული საუბრები

2022 წლის, 18 ივლისს, ქ. ბათუმში, გაიმართა პროექტის გახსნითი ღონისძიება და კარიერული საუბრები. გახსნით ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა. კარიერული საუბრების ფარგლებში პროექტის მონაწილეები შეხვდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს - თამარ ალანას, თამარ ონიანსა და დიანა ბერეკაშვილს.

2022 წლის, 19-20, ივლისს, ქ. ბათუმში, გაიმართა ტრენინგი თემაზე - „ადამიანით ვაჭრობა, ტრეფიკინგი“. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - მარი მესხი, სამართლის დოქტორი, პროფესორი. ტრენინგს ესწრებოდა 15 მონაწილე.

2022 წლის, 21-22 ივლისს, ქ. ბათუმში, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ქალთა უფლებები“. ტრენინგს უძღვებოდნენ - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები დიანა ბერეკაშვილი, თამარ ონიანი და თამარ ალანია. ტრენინგს დაესწრო 18 მონაწილე.

2022 წლის, 23 ივლისს, ქ. ბათუმში, გაიმართა კარიერული საუბრები თემაზე - „ქალთა უფლებების დაცვა საქართველოში. ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაცია, გენდერული ნიშნით ძალადობა, სახელმწიფოს როლი ქალის უფლებების დაცვაში“. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ - მარი მესხი - სამართლის დოქტორი, პროფესორი, ექსპერტი ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებში; ლელა და ლია ფუტკარაძეები, ორგანიზაცია „საორსას“ წარმომადგენლები. შეხვედრას ესწრებოდა 13 მონაწილე.

2022 წლის, 25 ივლისს, ქ. ბათუმში გაიმართა პარალელურად პირველი ნაკადის გადამზადების შემაჯამებელი შეხვედრა. პარალელურად გადაეცათ სერტიფიკატები, ასევე გაიმართა კარიერული საუბრები. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს: იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, რაჟდენ კუპრაშვილმა, საქართველოს სახალხო დამცველმა, ნინო ლომჭარიამ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორმა, გიორგი ჭეხანმა.

2022 წლის, 17 სექტემბერს, ქ. ბათუმში, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესობა“. ტრენინგს უძღვებოდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, ექსპერტი - ქეთევან მესხიშვილი. ტრენინგს დაესწრო 12 მონაწილე.

2022 წლის, 21 ოქტომბერს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა პროექტ „პარალელგალის“ მეორე ნაკადის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდა 49 სტუდენტი.

2022 წლის, 27 ოქტომბერს, ქ. ბათუმში გაიმართა პარალელურად გადამზადების მეორე ეტაპის გახსნითი ღონისძიება და კარიერული საუბრები. შეხვედრებს უძღვებოდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები - დიანა ბერეკაშვილი, თამარ ონიანი და თამარ ალანია. ღონისძიებას ესწრებოდა 23 მონაწილე.

2022 წლის, 28 ოქტომბერს, ქ. ბათუმში, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ქალთა უფლებები“. ტრენინგს უძღვებოდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები დიანა ბერეკაშვილი, თამარ ონიანი და თამარ ალანია. ტრენინგს ესწრებოდა 23 მონაწილე.

2022 წლის, 11 ნოემბერს, ქ. ბათუმში, პროექტ „პარალელგალის“ ფარგლებში გაიმართა კარიერული საუბრები. შეხვედრას უძღვებოდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე - ქეთევან მესხიშვილი და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - ირმა ტოგონიძე; ღონისძიებას დაესწრო 22 მონაწილე;

2022 წლის, 12 ნოემბერს, ქ. ბათუმში, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესობა“. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი ქეთევან მესხიშვილი. ტრენინგს ესწრებოდა 20 მონაწილე .

2022 წლის, 3 დეკემბერს, ქ. ბათუმში, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - ნინო ელბაქიძე. ტრენინგს ესწრებოდა 17 მონაწილე.

2.2. გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები პარალელგალების ჩართულობით

პროექტის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურმა, პარალელგალების ჩართულობით 9 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა გამართა. შეხვედრების მთავარ თემებს წარმოადგენდა: უფასო იურიდიული დახმარების მიღების კრიტერიუმები, ბავშვის უფლებათა კოდექსის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის საკითხები. შეხვედრებს 400 -ზე მეტი პირი დაესწრო, მათ შორის არასრულწლოვნებიც.

2022 წლის, 19 სექტემბერს, ხულოსა და შუახევში, პარალელგალებთან ერთად იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. შეხვედრებს ჯამში დაესწრო 55 მონაწილე.

2022 წლის, 20 სექტემბერს, ქედასა და ხელვაჩაურში, პარალელგალებთან ერთად იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. შეხვედრის დასასრულს, სამსახურის იურისტებმა მოსახლეობას გაუწიეს ინდივიდუალური კონსულტაციები, მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. შეხვედრებს ჯამში ესწრებოდა 78 მონაწილე.

2022 წლის, 16 ნოემბერს, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და სოფელ მუხაესტატეში, პარალელგალებთან ერთად, იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. შეხვედრებს ჯამში დაესწრო 56 მონაწილე.

2022 წლის, 30 ნოემბერს, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის საჯარო სკოლაში პარალელგალებთან ერთად, იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას ესწრებოდა 28 მონაწილე.

2022 წლის, 30 ნოემბერს, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთში, პარალელგალებთან ერთად, იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. შეხვედრას ესწრებოდა 29 ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი.

2022 წლის, 1 დეკემბერს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის N1 საჯარო სკოლაში პარალელგალებთან ერთად, იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას ესწრებოდა 140 მოსწავლე.

2022 წლის, 1 დეკემბერს, ქობულეთის N6 საჯარო სკოლაში პარალელგალებთან ერთად იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას ესწრებოდა 35 მოსწავლე.

2022 წლის, 2 დეკემბერს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭარისწყლის საჯარო სკოლაში პარალელგალებთან ერთად იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას ესწრებოდა 27 მონაწილე.

2022 წლის, 2 დეკემბერს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, პარალელგალებთან ერთად იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა 28 მონაწილე.

2.3. იმიტირებული პროცესები პარალელგალების მონაწილეობით

2022 წლის, 18 სექტემბერს, ქ. ბათუმში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ნაფიც მსაჯულები გახლდათ სამსახურის პარალელგალები. სასამართლო პროცესში მოსამართლის როლი შეასრულეს ამერიკელმა მოსამართლემ ჯეიმს რედვაინმა და ბათუმის სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლემ ლევან ყოლბაიამ. პროცესის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ბათუმის სასამართლოს თავმჯდომარემ - ჯუმბერ ბეჟანიძემ და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილემ ნილ ვაინსტაინმა. იმიტირებულს დაესწრო 18 მონაწილე;

2022 წლის, 10 დეკემბერს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში, გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი, ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. სასამართლო პროცესში მოსამართლის როლი შეასრულეს - ამერიკელმა მოსამართლემ ჯეიმს რედვაინმა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა - ხათუნა ბოლქვაძემ და გულიკო კაჟაშვილმა. ნაფიც მსაჯულებად წარმოდგენილი იყვნენ პარალელგალები. შეხვედრას ესწრებოდა 43 მონაწილე.







VI

იურიდიული
დახმარების
სამსახურის
ფსიქოლოგები

იურიდიული დახმარების სამსახურის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიკვეთა საქმეებში ფსიქოლოგთა ჩართვის საჭიროება, ალტერნატიული ფსიქოლოგიური ექსპერტიზების ჩატარება/ფსიქოლოგიური დასკვნის მომზადება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ორგანიზაციის საქმიანობაში ფსიქოლოგების დასაქმებას.

2022 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის ფსიქოლოგები, როგორც ადვოკატთა მოთხოვნის, ასევე სასამართლო განჩინების საფუძველზე, ჩართული იყვნენ როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეებში და მათ მიერ მომზადებულ იქნა არაერთი ფსიქოლოგიური დასკვნა, რომელიც საფუძველად დაედო სასამართლო გადაწყვეტილებებს.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნულისა, სამსახურის ფსიქოლოგები კონსულტირების ფორმატში ატარებდნენ სავარაუდო სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთან შეხვედრებს.

1 მომზადებული ფსიქოლოგიური დასკვნების მიმოხილვა:

- **მომართვის მიზანი:** არასრულწლოვნების ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება, ვიდეო მასალის ანალიზი;
- **მომართვის მიზანი:** ბავშვსა და მშობლებს შორის ურთიერთობის ტიპის განსაზღვრა;
- **მომართვის მიზანი:** მამობის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით არასრულწლოვნის ზოგადი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება;
- **მომართვის მიზანი:** არასრულწლოვნის დამოკიდებულების განსაზღვრა ბიოლოგიური მამის მიმართ;
- **მომართვის მიზანი:** დროებითი განკარგულების პერიოდში „ბენეფიციარის“ მამასთან ურთიერთობის მიზანშეწონილობის განსაზღვრა/შეფასება;
- **მომართვის მიზანი:** პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი „ბენეფიციარის“ ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება;
- **მომართვის მიზანი:** ხომ არ არის „ბენეფიციარის“ საუბრის აუდიო და ვიდეო ჩანაწერები მშობლების მხრიდან ფსიქოლოგიური ან სხვა სახის ზემოქმედების შედეგი;
- **მომართვის მიზანი:** მამისა და არასრულწლოვნის ურთიერთდამოკიდებულების შეფასება;
- **მომართვის მიზანი:** სისხლის სამართლის საქმეზე ვიდეო მასალის ფსიქოლოგიური ანალიზის მომზადება;

2 გაცემული ფსიქოლოგიური კონსულტაციები

- **მომართვის მიზანი:** ფსიქოლოგიური კონსულტაცია ბავშვების მეურვეობისა და საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე;
- **მომართვის მიზანი:** ფსიქოლოგიური კონსულტაცია სავარაუდო ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთან;

VII

რადიო გადაცემა
„სამართლებრივი
რჩევები“

2022 წელს, რადიო იმედის ეთერში გავიდა „სამართლებრივი რჩევების“ 39 გადაცემა.

2022 წელს, სოციალურ ქსელში (facebook) რადიოგადაცემის ნახვების რაოდენობამ შეადგინა 889 837-ს.

- **2022 წლის 17 იანვარი** - წამყვანი - სულხან გველესიანი, სტუმარი- გლობალური პროგრამა „მიგრაცია და დიასპორა“-ს კოორდინატორი საქართველოში ირმა წერეთელი. თემა - „დაბრუნებული ემიგრანტების ხელშეწყობის პროგრამა“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/31842947034198338435> - ნახვა;
- **2022 წლის 24 იანვარი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმრები - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ნათია გუჯაბიძე და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი ირაკლი სასანია . თემა - „სამედიცინო სამართალი“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/309092957449110345768> - ნახვა;
- **2022 წლის 31 იანვარი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - სამართლის დოქტორი ირაკლი ბურდული. თემა - „ახალი კანონი მენარმეთა შესახებ“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/64252820353120642168> - ნახვა;
- **2022 წლის 7 თებერვალი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - სამართლის პროფესორი გიორგი ხუბუა. თემა - „სამართლებრივი ცნობიერება და იურიდიულ პროფესიებში არსებული გამოწვევები“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/36744057145665221188> - ნახვა;
- **2022 წლის 21 თებერვალი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი-მედიატორი ნათია ჩიტაშვილი. თემა - „კერძო მედიაცია“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/27491282463302838429> - ნახვა;
- 2022 წლის 28 თებერვალი - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი- იურისტი ლევან მესხორაძე. თემა - „საერთაშორისო პოლიტიკური მართლმსაჯულება“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/69020546566635742834> - ნახვა;
- **2022 წლის 7 მარტი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი- სამართლის დოქტორი გიორგი დგებუაძე. თემა - „საერთაშორისო სისხლის სამართალი“ <https://www.facebook.com/RazhdenKuprashviliLaw/videos35000> - ნახვა;
- **2022 წლის 14 მარტი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - სამართლის დოქტორი გიორგი სვანაძე. თემა - „საერთაშორისო ბიზნესი და კომერციული ტრანზაქციები“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/1162257244515803499> - ნახვა;
- **2022 წლის 21 მარტი** - წამყვანი - ნინო მელაძე, სტუმარი - ადვოკატი თამარ სიხარულიძე. თემა - „უძრავი ქონების რეგისტრაცია“ <https://www.facebook.com/radioimedi/videos/6934348554401341300> - ნახვა;
- **2022 წლის 28 მარტი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - სამართლის დოქტორი ლაშა მჭედლიძე. თემა - „სამშენებლო სამართალი“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/34407277418939714500> - ნახვა;

- **2022 წლის 4 აპრილი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - ასოციაცია „ევროპის დროით“ თავმჯდომარე ეკატერინე ქარდავა. თემა - „საქართველოს ევროპული ინტეგრაცია და განვითარების პერსპექტივები“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/1026257978100205> 24,556 - ნახვა;
- **2022 წლის 11 აპრილი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - საქართველოს იუსტიციის საჯარო რეესტრის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვახტანგ ბოხაშვილი. თემა - „საკუთრების რეგისტრაციის რეფორმა“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/400756838553040> 24,271 - ნახვა;
- **2022 წლის 18 აპრილი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მორის შალიკაშვილი. თემა - „სასჯელის დანიშვნის პოლიტიკა“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/671885150766063> 14,865 - ნახვა;
- **2022 წლის 2 მაისი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, საბანკო სამართლის სპეციალისტი ლევან გოთუა. თემა - „საბანკო სამართალი“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/321819803331740> 14,244 - ნახვა;
- **2022 წლის 16 მაისი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე შოთა გენაძე. თემა - „სამშენებლო სამართალი“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/851265676275994> 10,429 - ნახვა;
- **2022 წლის 23 მაისი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი ეკა კაველიძე. თემა - „აკადემიური უნარ-ჩვევების მნიშვნელობა სამართლის განვითარებაში“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/4939126512883226> 25,138 - ნახვა;
- **2022 წლის 30 მაისი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე დიანა ბერეკაშვილი. თემა - „სამემკვიდრეო სამართალი“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/581074639989149> 32,598 - ნახვა;
- **2022 წლის 6 ივნისი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - ადვოკატი მაია ბაქრაძე. თემა - „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/690907148683154> 14,743 - ნახვა;
- **2022 წლის 13 ივნისი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ნოტარიუსი ეკატერინე შენგელია. თემა - „ნოტარიუსის საქმიანობა“ <https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/545816763848782> 26,742 - ნახვა;
- **2022 წლის 20 ივნისი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვასილ გონაშვილი. თემა - „საქართველოს ტერიტორიული მონყობა“ <https://www.facebook.com/RazhdenKuprashviliLaw/videos/3303566589861316> 21 400 - ნახვა;

- **2022 წლის 27 ივნისი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმრები - თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი სულხან კომახიძე და თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი გიორგი ბოგვერაძე.
თემა - „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“
<https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/372930604825914>
34,644 - ნახვა
- **2022 წლის 4 ივლისი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი თამარ ტატანაშვილი.
თემა - „მხარდაჭერის ინსტიტუტი“
<https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/376230687938356>
22,715 - ნახვა;
- **2022 წლის 11 ივლისი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი თეა ყავლაშვილი.
თემა - „ლტოლვილთა სამართალი“
<https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/383547127097826>
14,742 - ნახვა;
- **2022 წლის 18 ივლისი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - სააღსრულებო ბიუროს უფროსი იურისტი ეკა ახალკაცი.
თემა - „ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი და თავისებურებები“.
<https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/607477607371602>
26,245 - ნახვა;
- **2022 წლის 12 სექტემბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ნათია სონდულაშვილი.
თემა - „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიზანი და ფუნქცია“
<https://www.facebook.com/RazhdenKuprashviliLaw/videos/658742271972524>
20 600 - ნახვა;
- **2022 წლის 19 სექტემბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლადო სირდაძე.
თემა - „სამართლის დიგიტალიზაცია“
<https://www.facebook.com/RazhdenKuprashviliLaw/videos/822400672265524>
18 300 - ნახვა;
- **2022 წლის 26 სექტემბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტი შორენა ბოჭორიშვილი.
თემა - „მინის რეგისტრაცია“
<https://www.facebook.com/RazhdenKuprashviliLaw/videos/487168429684203>
17 000 - ნახვა;
- **2022 წლის 3 ოქტომბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი ხატია პაპიძე.
თემა - „საქმის წარმოების განახლება“
<https://www.facebook.com/RazhdenKuprashviliLaw/videos/583303360150432>
437 - ნახვა;
- **2022 წლის 10 ოქტომბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმრები - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ნათია გუჭაბიძე და ამერიკული ჰოსპიტალის სამედიცინო დოქტორი ირაკლი გოგობია.
თემა - „პაციენტის ინფორმირებული თანხმობა“.
<https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/878536393044646>
22,156 - ნახვა;

- **2022 წლის 17 ოქტომბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმრები - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი კობა ყალიჩავა. თემა - „სამშენებლო სამართალი“.
<https://facebook.com/RazhdenKuprashviliLaw/videos/1258548371602375>
1 100- ნახვა;
- **2022 წლის 24 ოქტომბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმრები - საქართველოს სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია. თემა - „სახალხო დამცველის საქმიანობის შეჯამება“.
<https://www.facebook.com/RazhdenKuprashviliLaw/videos/517692416556368>
17 400 - ნახვა;
- **2022 წლის 31 ოქტომბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკის ფაკულტეტის დირექტორი, ადვოკატი ანა ხარაიშვილი. თემა - „მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა“.
<https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/505803318115651>
17,222 - ნახვა;
- **2022 წლის 7 ნოემბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჯოლიანი. თემა - „მუნიციპალური სამართლის აქტუალური საკითხები“.
<https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/1172495320308827>
68 000 - ნახვა;
- **2022 წლის 14 ნოემბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმრები - იურიდიული კომპანია ღვინაძე და პარტნიორის პარტნიორი ზაქარია შველიძე. თემა - „შრომითი დავები“.
<https://www.facebook.com/RazhdenKuprashviliLaw/videos/508966561253717>
10 600- ნახვა;
- **2022 წლის 21 ნოემბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმრები - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი თამარ ტატანაშვილი. თემა - „კრედიტის დაზღვევის აქტუალური საკითხები“.
<https://www.facebook.com/RazhdenKuprashviliLaw/videos/2227887980704110>
8 000 - ნახვა;
- **2022 წლის 28 ნოემბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმრები - პროფესორი ანა ფირცხალაშვილი. თემა - „სოციალური სახელმწიფოს პრინციპები“.
<https://www.facebook.com/RazhdenKuprashviliLaw/videos/946882869621433>
25 600- ნახვა;
- **2022 წლის 5 დეკემბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კრიმინოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი მორის შალიკაშვილი. თემა - „ოჯახში ძალადობის კრიმინოლოგია“.
<https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/684060753338176>
10,376 - ნახვა;
- **2022 წლის 12 დეკემბერი** - წამყვანი - გიორგი ბაღდავაძე, სტუმარი - ალტერ უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოსთვის“ ექსპერტი ნანა მჭედლიძე. თემა - „გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების დაცვა“.
<https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/854164715921178>
21,764 - ნახვა;



- **2022 წლის 19 დეკემბერი** - წამყვანი - რაჟდენ კუპრაშვილი, სტუმარი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ბოხაშვილი.
თემა - „უფლებებისა და ვალდებულებების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, სარგებლობის უფლებების რეგისტრაციის შეწყვეტის სპეციალური წესი“.
<https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/514462887140157/11,827> - ნახვა;
- **2022 წლის 26 დეკემბერი** - წამყვანი - გიორგი ბაღდავაძე, სტუმარი - საზოგადოებრივი ადვოკატი ლედი კორძაძე.
თემა - „საზოგადოებრივი ადვოკატის როლი“
<https://www.facebook.com/legalaid.ge/videos/72599181531222210,238> - ნახვა;



საზოგადოებრივი

ედვოკატი

#3 / 2022



VIII

ჟურნალი
„საზოგადოებრივი
ედვოკატი“

2022 წელს, დაიბეჭდა ჟურნალ „საზოგადოებრივი ადვოკატის“ მესამე ნომერი, შემდეგი სარედაქციო კოლეგიით:

სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელი: რაჟდენ კუპრაშვილი,
რედაქტორი: ბიძინა მაყაშვილი,
რედაქტორის მოადგილე: ნინო ჩუტკერაშვილი,
კომპიუტერული უზრუნველყოფა: გოგა დავითიანი.

ჟურნალი მოიცავს შემდეგი სახის პუბლიკაციებს:

- **რედაქტორის სვეტი -**
ავტორი რაჟდენ კუპრაშვილი, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი;
- **პარალელგალები - ახალი პროექტი -**
ავტორი ზაზა ჭლარკავა, ჟურნალისტი;
- **ჭარბვალთანობის მიზეზები და მისი აღმოფხვრის გზა -**
ავტორი რაჟდენ კუპრაშვილი, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი;
- **იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი -**
ავტორი მარიამ ბურკაძე, იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის უფროსი;
- **ცვლილებები შპს-ის სამართალში -**
ავტორი ირაკლი ბურდული, ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
- **მხარეთა ავტონომიის, არსობრივ და პროცედურული სამართლიანობის პრინციპი მედიაციაში -**
ავტორი ნათია ჩიტიაშვილი, ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
- **არსებითი დარღვევა და მისი მტკიცების ტვირთი სამართალში -**
ავტორი გიორგი მიქელაძე, ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი;
- **ფსიქოლოგთა თვალთ დანახული მშობელი -**
ავტორები თამარ სიმონია და ქეთევან ჯაყელი, იურიდიული დახმარების სამსახურის ფსიქოლოგები;
- **ოკუპირებული ტერიტორიების არალიარების ვალდებულება საერთაშორისო სამართალში -**
ავტორი გიორგი ბაღდავაძე, საერთაშორისო საჯარო სამართლის მაგისტრი;
- **სამართლის ტექნოლოგიების გამოყენება ლტოლვილთა სამართლებრივი კონსულტაციისთვის -**
ავტორი ლადო სირდაძე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
- **რა ემუქრება პუტინს, ინტერვიუ პოლიტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან -** ავტორი ზაზა ჭლარკავა, ჟურნალისტი;
- **დარღვეული პირობა, როგორ დათმო უკრაინამ ბირთვული შეიარაღება 1994 წელს -** ავტორი ზაზა ჭლარკავა, ჟურნალისტი;

გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერებმა ნინო ჩუტკერაშვილმა და მარიამ ბერიძემ მოამზადეს სტატიები:

- როგორ სრულდება კანონი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ“ (კონფერენციის მიმოხილვა);
- აშშ-ს ელჩი ბათუმის ბიუროში;
- ინფორმაცია უფასო სამართლებრივი დახმარების მობილური აპლიკაციის LAS Georgia-ს შესახებ;
- რუბრიკა „წერილიც და სიხარულიც“, მაღლიერი ბენეფიციარების კორექტივები;
- სამსახურის ოფისების საკონტაქტო ინფორმაცია.



IX

სამსახურის მიერ
განეული მომსახურების
ხარისხის
უზრუნველყოფის
მექანიზმები

1. სამსახურის მიერ განეული მომსახურების ხარისხის შეფასება

იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N75 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები.

იურიდიული დახმარების საბჭოს N75-ე გადაწყვეტილების თანახმად, დადგინდა ადვოკატებისა და კონსულტანტების იმ საქმეების შეფასების ვალდებულება, რომლებიც ადვოკატის, კონსულტანტის მიერ წარმოებაში მიღებულ იქნა წინამდებარე გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ. ამავე გადაწყვეტილების დანართის შესაბამისად, შეფასებას დაექვემდებარა ადვოკატის, კონსულტანტის დასრულებული საქმეები.

იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 27 ნოემბრის N 107 გადაწყვეტილებით გაუქმდა იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ, 2020 წლის 4 ივლისის N75 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები და დამტკიცდა ახალი, რომლის თანახმად, განისაზღვრა საზოგადოებრივ ადვოკატთა სამართლებრივი მომსახურების სტანდარტები (დროული წარმომადგენლობა, კლიენტზე ორიენტირებული ადვოკატირება, ადვოკატირება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებისათვის, საქმის დამოუკიდებელი გამოძიება, საქმეზე სათანადო მომზადება, საქმეში სათანადო ექსპერტების/სპეციალისტების ჩართვა, წინასასამართლო სხდომაზე წარმომადგენლობა, სასამართლო პროცესზე კლიენტის დაცვა, სასჯელის შემსუბუქება, გასაჩივრება), ასევე, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის სტანდარტები, მედიასთან/სოციალურ მედიაში კომუნიკაციის წესი, საქმის მასალების წარმოების წესი და სხვა. 2022 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების საფუძველზე შეფასდა 301 საქმე. მათ შორის:

- სისხლის სამართლის მიმართულებით დასაქმებული 89 ადვოკატის ნაწარმოები 263 საქმე;
- სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით დასაქმებული 22 ადვოკატის ნაწარმოები 38 საქმე;

2. ადვოკატთა თვითშეფასების სისტემა

იურიდიული დახმარების ბიუროების ადვოკატების მიმართ წახალისების ზომის (ჭილდოს) გამოყენების მიზნით, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოების მიერ, შესწავლილ იქნა 2021 წლის 24 ივლისიდან 2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით, ადვოკატთა წარმატებული შედეგით დასრულებული საქმეები.

შესწავლილი იქნა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით მომუშავე 75 ადვოკატის 244, ხოლო სამოქალაქო/ადმინისტრაციული სპეციალიზაციით მომუშავე 34 ადვოკატის 132 საქმე.

წახალისების ზომის (ჭილდოს) გაცემის ფარგლებში სამმართველოების მიერ შესწავლილი იქნა: ადვოკატთა მიერ წარმოდგენილი მასალები, თვითშეფასების ფორმები, მოსამართლეთა გამოკითხვის შედეგები. განახორციელეს ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევა, შესწავლილი იქნა სასწავლო ცენტრის, მხარდამჭერთა ჯგუფის, ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს, შიდა აუდიტის სამმართველოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) მათ წარმოებაში მიღებულ საქმეებზე ინფორმაციის შეყვანისა და მომსახურების ხარისხის შეფასების შედეგები.

შეფასების შედეგად, ფულადი ჭილდო გაცემული იქნა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით მომუშავე 21 ადვოკატზე, და სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით მომუშავე 14 ადვოკატზე.

3. მხარდამჭერთა ჯგუფის საქმიანობა

ხარისხის შეფასების სისტემის ფარგლებში, საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ არაერთი შეხვედრა გაიმართა ადვოკატთა მიმართების ასევე სხვადასხვა სამართლებრივი საკითხების განხილვის, პრაქტიკული თუ თეორიული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებისა და საერთო მიდგომების ჩამოყალიბებისათვის. მათ შორის:

2022 წლის 22 ივლისს - ადვოკატის მიმართვის საფუძველზე, განხილულ იქნა შემდეგი საკითხი: დასაცავი პირის ნაცვლად, ადვოკატის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები;

2022 წლის 26 ივლისს - ადვოკატის მიმართვის საფუძველზე განხილულ იქნა შემდეგი სამართლებრივი საკითხი: ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესობის საკითხი, კერძოდ, ბავშვებს შორის ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების გზები.



2022 წლის 19 ოქტომბერს - დებულებაში ცვლილებების შეტანა, მხარდამჭერთა ჯგუფის რეგლამენტის განახლება.

მხარდამჭერთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე:

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები;
- არასრულწლოვანთა საქმეებზე სამსახურის ადვოკატთა მიდგომები.

4. განგრძობადი განათლება

2022 წლის 2 ივლისს, ქუთაისში, (სადგურის მოედანი #3) იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი გაიხსნა. ახალგაზრდებზე ოფისი აღჭურვილია ტრენინგ ცენტრისათვის აუცილებელი ყველა საჭირო ავეჯითა და ტექნიკით. იურიდიული დახმარების სამსახური, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, ინტენსიურად ატარებს ტრენინგებს საზოგადოებრივი ადვოკატებისა და თანამშრომლებისათვის. ქუთაისის სასწავლო ცენტრში შესაძლებელი იქნება როგორც ტრენინგების, ასევე კონფერენციების, „ბენჩმარების“ და სხვა სახის საქმიანი შეხვედრების ჩატარება.



4.1. ტრენინგების მიმოხილვა

2022 წელს, სამსახურის თანამშრომლებისთვის სამსახურის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა 25 ტრენინგი.

ტრენინგ-მოდულები შეირჩა ბენეფიციართა მომართვიანობის მაჩვენებლის, ადვოკატთა გამოკითხვის შედეგებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ტრენინგების მიხედვით.

ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლებმა, კონსულტანტებმა, საზოგადოებრივმა და მოწვეულ საზოგადოებრივმა ადვოკატებმა (გენდერული ბალანსი: 73,53% - ქალი, 26,47% - კაცი).

- **2022 წლის, 28-29 იანვარს**, ქ.თბილისში, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით პროექტის „ტრავმა-ინფორმირებული პრაქტიკის დანერგვა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში“ ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ტრავმა-ინფორმირებული მიდგომა სექსობრივი დანაშაულების სამართალწარმოების პროცესში“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 13 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - ლელა ცისკარიშვილი და მათა ცირამუა.
- **2022 წლის 3 თებერვალს, 17 თებერვალსა და 24 თებერვალს**, (3 ტრენინგი) გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ყველა ჩართული უწყების თანამშრომლის მომზადება ინტეგრირებული მომსახურების (ბარნაჰუს) კონცეფციის და სტანდარტული ოპერაციული პროცედურების მიმართულებით“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 21 თანამშრომელი.
- **2022 წლის, 15, 17, 22 და 25 თებერვალს** იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ბავშვთა უფლებების შესახებ ჩაღრმავებული კურსი კონსულტანტ-ოპერატორებისთვის“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტ-ოპერატორები. გადამზადდა იურიდიული დახმარების 3 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა - თეა ყაულაშვილი.
- **2022 წლის, 18 მარტს**, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ჩატარდა დისტანციურად ტრენინგი თემაზე - „ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციითა და სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით გათვალისწინებულ საკითხებზე“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი და მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 12 თანამშრომელი.
- **2022 წლის, 1 აპრილს**, დისტანციურად ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იურიდიული დახმარების სამსახურში“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 23 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ- დავით სიმონია და ლადო სირდაძე.
- **2022 წლის, 27 აპრილი-2 მაისს**, კახეთში, სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი (OHCHR), გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფონდის (SDG Fund) და გაეროს პარტნიორობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისთვის (UNPRPD) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგი თემაზე - „შშმ პირთა უფლებები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 13 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - გიორგი ჩხეიძე, სოფიო ჩაჩავა, ანა არგანაშვილი, ანა აბაშიძე, ეკატერინე (ქეთი) თავართქილაძე.

- **2022 წლის, 16-17 მაისსა და 21-22 მაისს** (2 ტრენინგი), გაეროს ქალთა ორგანიზაციისა (UN WOMEN) და ქალთა ინიციატივების მხარდაჭერითა ჯგუფის (WISG) მიერ ჩატარდა, ტრენინგი თემაზე „სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის საკითხების სამართლებრივი რეგულირება და ლგბტ ადამიანის საჭიროებები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 29 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები-ეკატერინე აღდგომელაშვილი და ქეთი ბახტაძე.
- **2022 წლის, 30 ივნისი - 3 ივლისს**, კახეთში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN), შვედეთის მთავრობისა და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგი თემაზე - „სექსუალური ძალადობის საკითხები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 4 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - თამარ დეკანოსიძე, სოფო ტაბალუა, ჯოანა ევანსი, გოგა ხარატიშვილი და მია ცირამუა.
- **2022 წლის, 17-18 ივლისს**, კახეთში, ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 9 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - რუსუდან კობოძე და სოფიო ბენაშვილი.
- **2022 წლის, 19-20 ივლისს**, ქ. ბათუმში, USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის (USAID RoLP), მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ქალთა უფლებები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტები და აპარატის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 30 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - თამარ ალანია, თამარ ონიანი და დიანა ბერეკაშვილი.
- **2022 წლის, 21-22 ივლისის**, ქ. ბათუმში, USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის (USAID RoLP), მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტები და აპარატის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 30 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - მარინე მესხი.
- **2022 წლის, 23 ივლისს**, ქ. ბათუმში, USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის (USAID RoLP), მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „კონსულტაციის გაცემის სტანდარტები იურიდიული დახმარების სამსახურში“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტები და აპარატის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 30 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ - რაჭდენ კუპრაშვილი და ნინო მელაძე.
- **2022 წლის 27-29 ივლისს**, ქ. ბათუმში, სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მიერ, ევროკავშირის (EU) ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგი თემაზე - „წამება დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა“, ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 23 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები- ლონდა თოლორაია და თამარ ზუბაშვილი.
- **2022 წლის 30-31 ივლისსა და 22-23 სექტემბერს** (2 ტრენინგი), სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მიერ, ევროკავშირის (EU) ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - “ წამების აკრძალვისა და სიცოცხლის უფლების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 44 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - ბესარიონ ბოხაშვილი და კონსტანტინე კორკელია.
- **2022 წლის, 11 - 12 აგვისტოს**, ქ. ქუთაისში, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ - ჩატარდა

ტრენინგი თემაზე - „იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო (CASE BANK) და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFlow) სისტემებით სარგებლობა“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 19 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა - დავით სიმონია.

- **2022 წლის, 16 სექტემბერს,** ქ. ბათუმში USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის (USAID RoLP), მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესობა“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 29 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - ქეთევან მესხიშვილი.
- **2022 წლის, 17 სექტემბერს,** ქ. ბათუმში USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის (USAID RoLP) ის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „წერილობითი კონსულტაციებისა და სამსახურის აპლიკაციაში მუშაობის სტანდარტები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 29 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ - დავით სიმონია და ნინო მელაძე.
- **2022 წლის, 3-5 ნოემბერსა და 10-12 ნოემბერს,** (2 ტრენინგი) ქ. თბილისში, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „სისხლის სამართლის პროფესიონალების შესაძლებლობების გაუმჯობესება დანაშაულის მსხვერპლი და მოწმე ბავშვის მიმართ ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების ეფექტური გამოყენების გზით“ ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „დანაშაულისა და ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 29 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - დავით სიმონია, თინათინ ბანძელაძე, თამარ გიგიტაშვილი და ქეთევან დავითაშვილი.
- **2022 წლის, 8-11 ნოემბერსა და 15-17 ნოემბერს** (2 ტრენინგი) აშშ-ს საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიურომ (INL) ფლორიდის შტატის მაიამი-დეიდის ოლქის ადვოკატებთან ერთად ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „სასამართლო უნარების სასწავლო კურსი“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 24 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები-კევინ ჰელმანი, დანიელა ტორეალბა, რაიან მაკარტნი და ჯეიმს დუბრეი.

5. სასწავლო მოდულები და ხშირად დასმული კითხვები

2022 წელს, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ექსპერტების მიერ სამსახურის სასწავლო ცენტრისათვის მომზადდა 1 ტრენინგ მოდული და 4 თემასთან დაკავშირებით ხშირად დასმული კითხვები. კერძოდ:

- გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (UN OHCHR) საქართველოში მხარდაჭერით, შეიქმნა მოდული სახელწოდებით: „შშმ პირთა უფლებები“;
- გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (UN OHCHR) საქართველოში მხარდაჭერით მომზადდა ხშირად დასმული კითხვები თემაზე - წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა;
- USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის (USAID RoLP), მხარდაჭერით მომზადდა ხშირად დასმული კითხვები თემაზე - ქალთა უფლებები;
- USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის (USAIS RoLP), მხარდაჭერით მომზადდა ხშირად დასმული კითხვები თემაზე - ტრეფიკინგი, ადამიანით ვაჭრობა;
- USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის (USAID RoLP), მხარდაჭერით მომზადდა ხშირად დასმული კითხვები თემაზე - შშმ პირთა უფლებები;



X


სამსახურის
სამართლებრივი
აქტივობები



1. სამსახურის ორგანიზებით ჩატარებული კონფერენციები

1.1. პანელური დისკუსიები

2022 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის რაჟდენ კუპრაშვილის ინიციატივით, დაიწყო პროექტი „პანელური დისკუსიები“. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები - პრაქტიკოსი სპეციალისტები (დარგის პროფესიონალები, ადვოკატები, მოსამართლეები) ერთი სამართლებრივი საკითხის გარშემო წარმოადგენენ მოხსენებებს ფართო აუდიტორიის წინაშე. აუდიტორია შედგება ახალგაზრდების, სტუდენტების, იურიდიული წრეების და შესაბამისი დარგის წარმომადგენლებისგან, სხვა დაინტერესებული პირებისგან. პანელის წევრთა მოხსენებების შემდეგ იმართება დისკუსია, როგორც დარგის ექსპერტებს, ასევე აუდიტორიის წევრებს შორის. 2022 წელს ჩატარდა 4 პანელური დისკუსია. კერძოდ:



2022 წლის 13 ოქტომბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით და ევროპის საბჭოს COE მხარდაჭერით გაიმართა კონფერენცია დისკუსია „სამართლის დიგიტალიზაცია - მომავალი არის დღეს“.

კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა პანელური დისკუსია, რომელიც გახსნა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა. ასევე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა KnowledgeTools International GmbH-ის დირექტორმა თილო ვენდიმ. პანელურ დისკუსიაში მონაწილეობდნენ: პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი, შტაინბაისის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ხუბუა, სამართლის ინჟინერი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლადო სირდაძე, ევროპის საბჭოს ოფისის საქართველოში - ხელმძღვანელის მოადგილე სტეფან სირდუ, სამართლის დოქტორი, ბტუ კვლევების ცენტრის დირექტორი, ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ზვიად გაბისონია, კომპანია „METRIC - იურიდიული და ფინანსური კონსულტაცია“ დამფუძნებელი პარტნიორი ლაშა კალანდაძე.

კონფერენციას ესწრებოდნენ იურიდიული წრეების, საადვოკატო კორპუსის წარმომადგენლები, მოსამართლეები, სამართლის სფეროში მოღვაწე მეცნიერები და სტუდენტები. კონფერენციის ბოლოს მონაწილეებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას „ხელოვნური ინტელექტი და სამართლის დიგიტალიზაცია, მოძრაობა - „მომავალი არის დღეს“ .

2022 წლის 11 ნოემბერს, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის - სეუ-ს მხარდაჭერით, ჩატარდა პანელური დისკუსია თემაზე „სამედიცინო სამართლის აქტუალური საკითხები“. დისკუსიის მიზანი იყო, როგორც სამედიცინო სამართლის სფეროში არსებული აქტუალური საკითხების განხილვა, იურისტებსა და მედიკოსებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბება, ასევე მოსახლეობის, მათ შორის, სტუდენტების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.

კონფერენციაზე სპიკერებად წარმოდგენილი იყვნენ: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, თამარ ჩიხლაძე, ამერიკული ჰოსპიტალის სამედიცინო დირექტორი, ირაკლი გოგოხია, პროფესორი ნუნუ კვანტალიანი, ასევე კომპანია Metric - ის პარტნიორი - ადვოკატი თეა ხამხაძე და იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, თეა ყაულაშვილი.

2022 წლის 15 ნოემბერს, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) დარბაზში, გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე „სოციალური სამართლის გამოწვევები ქართულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში“.

დისკუსიის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას მიმართეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში ირინა სეფერთელაძემ. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუს) ვიცე-რექტორმა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, სამართლის დოქტორმა, პროფესორმა ანა ფირცხალაშვილმა ისაუბრა სოციალური სახელმწიფოს პრინციპზე ხელისუფლების დანაწილების კონტექსტში; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის დოქტორმა, პროფესორმა პაატა ტურავამ წარმოადგინა მოხსენება სოციალური დახმარების ქართული მოდელის შესახებ, საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის მთავარი მკვლევარი ნათო ნიაური შეეხო მინიმალური ხელფასსა და უსახლკარობის პრობლემას საქართველოში. პანელურ დისკუსიაში სპიკერად ასევე წარმოდგენილი იყვნენ იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატები: ნათია ბერძენიშვილი და აკაკი ლომსაძე.

2022 წლის 1 დეკემბერს, ქუთაისის უნივერსიტეტში, იურიდიული დახმარების სამსახურის პროექტის - მოძრაობა „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“ ფარგლებში, გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - გამოწვევები ქართულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში“.

დისკუსიის ფარგლებში, სპიკერებად წარმოდგენილი იყვნენ: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, ნიკოლოზ მარგველაშვილი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სპეციალიზებული პროკურორი ირაკლი შვანგირაძე, ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი გელა სიორდია, იურიდიული დახმარების სამსახურის ფსიქოლოგი თამარ სიმონია, საქართველოს სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისის წარმომადგენელი, ქსენია მესხიძე.

2022 წლის 20 ივლისს, სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, ადვოკატთა ასოციაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ტრადიციული სამართალი და თანამედროვე სამართლის სისტემა - შედარებითი ანალიზი.“ კონფერენციას ესწრებოდნენ სვანეთის უხუცესები, რომლებიც ტრადიციულ მართლმსაჯულებაში დღემდე მონაწილეობენ, ასევე ადვოკატები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ადგილობრივი ადმინისტრაციის თანამშრომლები. კონფერენცია გახსნა ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ჭეხანმა. მონაწილეებს მიესალმნენ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი. მოხსენებები წარმოადგინეს: ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტის თავმჯდომარემ ონისე მარგიანმა და ადვოკატთა ასოციაციის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან მახარაშვილმა.

2022 წლის 23-24 მარტს, ბათუმში, ევროკავშირის (EU) და სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისათვის ჩატარდა ბენჩ-ბარი წამების აკრძალვის შესახებ. შეხვედრა გახსნეს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და OHCHR-ის პროექტების მენეჯერმა სოფიო ბენაშვილმა. ღონისძიებაზე იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ, დავით სიმონიამ წარმოადგინა მოხსენება, რომელიც ეხებოდა წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა/სავარაუდო მსხვერპლთა ხელმისაწვდომობას უფასო იურიდიულ დახმარებაზე. OHCHR-ის საქართველოს ოფისის ადამიანის უფლებათა ოფიცერმა ბესარიონ ბოხაშვილი მონაწილეებს ფართოდ ესაუბრა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით წამების აკრძალვის და არასათანადო მოპყრობის უახლესი სტანდარტების შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესახებ, გაიმართა პანელური დისკუსია, რომელშიც საზოგადოებრივი ადვოკატები აქტიურად იყვნენ ჩართული. ასევე იმსჯელეს წამების პრევენციის სტანდარტების, პატიმრობის პირობებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების შესახებ.

1.2. სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი

2022 წლის ნოემბერში, გამოიცა საქართველოში პირველი „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი“. მულტიდისციპლინური პერიოდული გამოცემა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის, „ბიგვა ბატიაშვილის“ იურიდიული ფირმისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ინიციატივით დაარსდა, ხოლო სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი ჟურნალის თანარედაქტორს წარმოადგენს.

დღესდღეობით, სასამართლო პრაქტიკასა და კანონმდებლობაში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აღნიშნული ჟურნალის მნიშვნელობა უპირობოდ დიდია როგორც საგანმანათლებლო, ასევე პრაქტიკული კუთხით.

სამედიცინო სფეროსათვის, სრულყოფილი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნისა და პრობლემური საკითხების დამუშავების მიზნით, აუცილებელია როგორც იურისტების, ასევე მედიკოსების აქტიური ჩართულობა, ორივე სფეროს წარმომადგენელთა მოსაზრებების შეჯერება და ერთობლივი, შეთანხმებული ნაბიჯების გადადგმა. სწორედ ამიტომ, ჟურნალის კონცეფცია ითვალისწინებს მასში არა მხოლოდ იურისტების, არამედ სამედიცინო მენეჯერების, პრაქტიკოსი ექიმების სტატიების დაბეჭდვას, რაც ხელს შეუწყობს საკითხთა სრულყოფილ შესწავლას, გაანალიზებასა და პრობლემების გადაწყვეტისათვის სწორი გზების მოძიებას.



1.3. სამსახურის ანალიტიკური საქმიანობა

რეგიონული კვლევები

რეგიონული კვლევების ფარგლებში, სამსახურის ანალიტიკოსები იმყოფებოდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ: სამეგრელოში, გურიაში, აჭარასა და იმერეთში. კვლევა მოიცავდა რამდენიმე ეტაპს, პირველ ნაწილში სამსახურის წარმომადგენლები რეგიონებში ატარებდნენ პრეზენტაციებს, განიხილავდნენ აქტუალურ იურიდიულ საკითხებს და მუშაობდნენ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო შეხვედრებზე, რის შემდგომაც კვლევისთვის წინასწარ შემუშავებულ კითხვარებს ურიგებდნენ დამსწრე საზოგადოებას და არკვევდნენ, კონკრეტულ რეგიონში რომელი სამართლებრივი საკითხები იყო მეტად პრობლემური. შედეგინილი კითხვარი მოიცავდა შესაბამის კითხვებს იმასთან დაკავშირებით თუ რა სამართლებრივ საკითხებთან ჰქონიათ შეხება ადგილობრივ პირებს, რომელი სამართლებრივი საკითხი იყო მათ რეგიონში ყველაზე პრობლემური. კვლევის შედეგად დადგინდა რომ ყველაზე აქტუალური საკითხია ქარბვალთანობა, ასევე გამოწვევად დასახელდა ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობა, ბავშვის უფლებები, შშმ პირები, მიგრაცია.

სერვისების კვლევა

იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკურმა სამმართველომ ჩაატარა სერვისების კვლევა. რეგიონების მიხედვით, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი სახის გამოწვევები: კადრების დეფიციტი, მენტორი ადვოკატების ინიციატივის საჭიროება, ექსპერტების დამატებითი ჩართულობის საჭიროება ხარისხის გაუმჯობესებისა და რეფორმების ადმინისტრირების მონიტორინგის კუთხით, ერთი ფანჯრის პრინციპის ჩამოყალიბების მნიშვნელობა, ადვოკატებისა და კონსულტანტების გადამზადების საჭიროება.

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მიერ საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება

ევროკავშირის 12 რეკომენდაციის ერთ-ერთი პუნქტი ეხება მართლმსაჯულებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ასახვას. აღნიშნულის ფარგლებში, ანალიტიკური სამმართველოს მიერ საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ ნაწარმოები საქმეების შესწავლის მთავარი დანიშნულებაა სამართალწარმოებაში საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებების გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრება, მათ შორის, მზა კვლევითი დოკუმენტაციით საზოგადოებრივი ადვოკატების უზრუნველყოფა. ეს, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ ნაწარმოები საქმეების ხარისხის გაუმჯობესებას, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქმის ბენეფიციარისათვის სასურველი შედეგით დასრულებას და, საჭიროების შემთხვევაში, პოტენციური საერთაშორისო დავისთვის საქმის სწორი სტრატეგიით წარმართვას.

დასახული მიზნის მისაღწევად, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველო საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ 2019 წლიდან 2022 წლის დეკემბრამდე ნაწარმოები საქმეების შეფასება განხორციელდა ინტეგრირებული სისტემით. ყოველი თემის მიმართულებით შესწავლილ იქნა case bank-იდან მოწოდებული ინფორმაციების სტატისტიკა და ჩატარდა თვისობრივი კვლევა.

საწყის ეტაპზე, შერჩეულ იქნა 20 საქმე ყოველი მიმართულებით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ადვოკატთა მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, შემოწმდა თუ რა სიხშირით და რამდენად სწორად იყენებენ ისინი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და სხვა ინსტანციების სასამართლოს პრაქტიკას. სამსახურის მიზანია ამ კვლევის შედეგად შემდეგში ანალიტიკურმა დეპარტამენტმა შეიმუშაოს დამხმარე სახელმძღვანელო კონკრეტულ საკითხებში ადვოკატების მიერ საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების წასახალისებლად.

სამედიცინო სამართლის შესახებ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების კვლევა

იურიდიული დახმარების სამსახურმა კვლევის ფარგლებში, შეისწავლა სამსახურის ადვოკატთა საჭიროებანი ისეთ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, რომლებიც მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას (მაგალითად, სამედიცინო ტერმინოლოგიისა და მანიპულაციების გაიდლაინების/პროტოკოლების ცოდნა). მთავარ გამოწვევად წარმოჩნდა მულტიდისციპლინურ საკითხებზე ექსპერტული ცოდნის სიმწირე, რაც ზრდის ადვოკატთა მიერ სარჩელში მნიშვნელოვანი დეტალების გამოტოვების და/ან არასათანადოდ დასაბუთების რისკებს. ეს ყოველივე კი საფრთხის წინაშე აყენებს ბენეფიციარის ეფექტიან დაცვას და, ამავდროულად, ზრდის საქმეზე ადამიანური თუ დროითი რესურსის დანახარჯს. ამ მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის სირთულე ცალკეულ გარემოებებში, რასაც პირდაპირი ზეგავლენა აქვს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან. კიდევ უფრო რთულდება მდგომარეობა მორალური ზიანის დადგენის შეფასებისას, რაც დიდი გამოწვევაა, როგორც ადვოკატებისათვის ასევე, სასამართლოსთვის.

კვლევის ფარგლებში, პერსონალური მონაცემებისა და კონფიდენციალობის პრინციპის სრული დაცვით, შესწავლილ იქნა ბენეფიციარის მიერ სამსახურის ადვოკატის ჩართულობით წარმოებული სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, პირველადი სარჩელის შედგენიდან, გადაწყვეტილების მიღებამდე. ვინაიდან, კონკრეტულ შემთხვევებში იკვეთებოდა დამატებითი სარჩელის შედგენის აუცილებლობა, უნდა შეფასებულიყო, აღნიშნული გარემოება ხომ არ იყო გამოწვეული ადვოკატის მოცემულ საკითხში სპეციფიკური ცოდნის არ არსებობით, როგორცაა მაგალითად, სამედიცინო ტერმინოლოგია და/ან შესაბამისი გაიდლაინები.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, წარმოჩენილი იქნა არამატერიალური ზიანის დადგენის საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტები, რომელთა გამოკვეთა მნიშვნელოვანია არსებული საქმეების შესწავლისთვის. აღნიშნულის ფარგლებში ძირითადად მიმოხილული იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დაწესებული სტანდარტები.

მოცემული პრობლემური საკითხების შესავლის შედეგად, დადგინდა რომ საჭიროა შესწავლილ იყოს

სამედიცინო ტერმინების სირთულე სამსახურის ადვოკატებისათვის და მათი ზეგავლენა საქმეზე მუშაობისას. კვლევის ფარგლებში უნდა გამოიკვეთოს სამედიცინო ექსპერტების ჩართულობის არსებითი მნიშვნელობა საქმეზე გადაწყვეტილების მიღების ნაწილში. მსგავსი პროფესიული და ტექნიკური საკითხები არ უნდა აფერხებდეს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის უზრუნველყოფას, ისევე როგორც სამართლის უზენაესობას. საბოლოო პროდუქტის სახით კი მნიშვნელოვანია შემუშავდეს კონკრეტული პროტოკოლები, რომლებიც ადვოკატებს დაეხმარებათ სამედიცინო დავების სრულყოფილ და ეფექტიან წარმოებაში.

მართლმსაჯულების კვლევა - მოსამართლის პროფილის მნიშვნელობა პროგნოზირებად მართლმსაჯულებაში

საპილოტე კვლევა მიზნად ისახავდა საზოგადოებრივ ადვოკატთა პროფესიულ გაძლიერებას, რაც მიიღწევა მოსამართლეთა პროფილების შესწავლითა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის საჭირო უნარ-ჩვევების გაუმჯობესების გზით. ადვოკატების პროფესიული გაძლიერება უზრუნველყოფს ბენეფიციარისათვის პროგნოზირებადი მართლმსაჯულებისა და განჭვრეტადი იურიდიული მომსახურების შეთავაზებას.

კვლევის ფარგლებში, მონაცემები შეგროვდა 4 ძირითადი ფორმის მიხედვით: დაკვირვება, გამოკითხვა, მონაცემთა მეორადი ანალიზი და თვისებრივი კვლევა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით, კერძოდ, ნაფიცი მსაჯულების შერჩევის ნაწილში, გამოიკვეთა მთელი რიგი გამონკვევები:

ნაფიც მსაჯულთა მიერ შევსებულ კითხვარს, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი აქვს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში, თუმცა რიგ შემთხვევებში აღნიშნული კითხვარის მხარეებისათვის გადაცემა ხდება უშუალოდ პროცესის წინ, რაც მხარეებს საშუალებას ართმევს სწორად ჩამოაყალიბონ კანდიდატებისათვის დასასმელი კითხვები. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულებისათვის კითხვების დასასმელად არ არის განსაზღვრული გონივრული დრო. პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ნაფიცი მსაჯულების აცილების საკითხი, დასაბუთებული აცილება ხშირად არ კმაყოფილდება, რაც მხარეს წამგებიან მდგომარეობაში აყენებს. ზოგიერთ შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს არ აქვთ შესაძლებლობა დეტალურად იყვნენ ინფორმირებულები საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომის ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულებს განმარტება ეძლევათ მხოლოდ პროცესის დაწყებისას, რაც შეეხება უშუალოდ პროცესის მსვლელობისას დამატებით განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის ან მტკიცებულებების შეფასების შესახებ, ნაფიცი მსაჯულები ვერ იღებენ ამომწურავად. კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებისათვის სათათბირო ოთახში გასვლამდე ვერდიქტის გამოსატანად მიცემულ მითითებებზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ზედაპირულია და გაჯერებულია სამართლებრივი ტერმინოლოგიით, რაც შესაძლოა არ იყოს სრულყოფილად აღქმადი ნაფიცი მსაჯულისთვის.





XI

საერთაშორისო
ურთიერთობები
და დონორ
ორგანიზაციებთან
თანამშრომლობა

2022 წლის 30 მარტს, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით, გაიმართა პროექტის „სისხლის სამართლის რეფორმების განხორციელება“ მმართველი კომიტეტის შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი.

2022 წლის 28-29 აპრილს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი სამსახურებრივი ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდა სომხეთში, ქალაქ ერევანში, სომხეთის რესპუბლიკის ადვოკატთა პალატის მიერ გამართულ საერთაშორისო ფორუმზე „ადვოკატირება ინტეგრაციის პროცესების, პერსპექტივების და გამოწვევების კონტექსტში“.

2022 წლის 6 მაისს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი, მისი პირველი მოადგილე ნინო მელაძე და მოადგილე დავით სიმონია ევროპის საბჭოს (COE) ოფისში შეხვედრენ ევროპის საბჭოში შვედეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილეს ანა ობერგ დენბოლს და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამის მენეჯერს კიმ სანდსტრომს. შეხვედრაზე განხილულ იქნა ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის ის ნაწილი, რომელიც საქართველოში უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის გამართულობას და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობის გაძლიერებას ეხება. შვედეთის სამეფოს წარმომადგენლები დაინტერესდნენ საქართველოში როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგადი სურათით, რომლის შექმნაშიც საზოგადოებრივი ადვოკატები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ასევე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებით.

2022 წლის 13-15 ივნისს, იურიდიული დახმარების სამსახურის სტუმრობდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკებისა და სამართლის ბიუროს უფროსი ზედამხედველი პატრიცია ვილდერმუსი. იურიდიული დახმარების სამსახური დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და მისმა მოადგილეებმა ამერიკელ სტუმარს დეტალურად გააცნეს საქართველოში მოქმედი უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა, სამსახურის პროექტები და სხვა გამოწვევები. პატრიცია ვილდერმუსი ასევე შეხვდა საზოგადოებრივ ადვოკატებს და მათგან მოისმინა კონკრეტული საკითხები, რომლებზეც მუშაობა მიდის ან სამომავლოდ საჭიროებს გაუმჯობესებას.

2022 წლის 7 სექტემბერს, გერმანიაში ქალაქ ბერლინში, სამსახურებრივი ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი და დირექტორის მოადგილე დავით სიმონია. შეხვედრის მიზანი იყო სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურსა და კომპანია KnowledgeTools International GmbH - ს შორის ხელშეკრულების გაფორმება. შეთანხმება მოიცავს პროგრამა LOGOS-ის გამოყენებას იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. დღესდღეობით, დიგიტალიზაციის თანამედროვე ტემპი უმთავრესი გამოწვევაა, რაც თავისთავად, იურიდიულ სფეროსაც ეხება. ეს არის პროცესი, რომელიც ადრე თუ გვიან იურისპრუდენციას სრულიად ახალ საფეხურზე გადაიყვანს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, სიახლეების, თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტური და ეტაპობრივი დამკვიდრება სამსახურის საქმიანობაში.



2022 წლის 14 სექტემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის ბათუმის ბიუროს ენ-ვია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დირექტორი ჯონ პენელი, USAID-ის მისიის საქართველოში დემოკრატიისა და მმართველობის ოფისის დირექტორი ლეა კაპლანი და სააგენტოს წარმომადგენლები. სამსახურის დირექტორის მოადგილეებმა ნინო მელაძემ და დავით სიმონიამ სტუმრებს წარუდგინეს სამსახურში მიმდინარე რეფორმები და სამომავლო გეგმები. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა საინტერესო დისკუსია ადამიანზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარებისათვის. ბატონმა ჯონ პენელმა გამოხატა დიდი პატივისცემა იმ საქმის მიმართ, რასაც სამსახური აკეთებს და დააფიქსირა სამომავლო მხარდაჭერა.

2022 წლის 23-24 ნოემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე ნინო მელაძე მონაწილეობდა, ქ. ჟენევაში, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის განხილვაში, „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, სადაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით, მომზადდა საქართველოს სახელმწიფო ანგარიში. ნინო მელაძემ ყურადღება გამამხვილა ბავშვთა, შშმ პირების, ეთიკურ უმცირესობათა, უცხოელთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა, მიგრანტთა, ლტოლვილთა, იძულებით გადასახლებულ პირთა და სხვა ბენეფიციარების უფლებების დაცვის, ასევე მათი სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების შესახებ. კომიტეტის წევრებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს დელეგაციას ღიაობისა და ჩართულობისათვის, ასევე კონსტრუქციული და პროდუქტიული დიალოგისათვის. მათი მხრიდან დადებითად შეფასდა ქვეყნის მიერ განხორციელებული რეფორმები.

2022 წლის 25 ნოემბერს, ანალიტიკური სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს რეგიონული პროექტის „ადვოკატის პროფესიის გაძლიერება ევროპული სტანდარტების შესაბამისად“ ფარგლებში გამართულ შეხვედრაში პროფესიისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე გენდერთან დაკავშირებული საკითხების გავლენის ანალიზის მეთოდოლოგიის შესახებ ხუთ მონაწილე ქვეყანაში: სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა და უკრაინა.


2022 წლის 1 დეკემბერს, ქ. ბრიუსელში გაიმართა მე-8 შეხვედრა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების (JFS) ქვეკომიტეტსა და საქართველოს დელეგაციას შორის. დელეგაციას უძღვებოდა იუსტიციის მინისტრის მოადგილე. შეხვედრის ფარგლებში, განხილვის ერთ-ერთ თემას წარმოადგენდა იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმები და თავშესაფრის მაძიებელთა უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა. შეხვედრაზე იურიდიული დახმარების სამსახური წარმოადგინა ანალიტიკური სამმართველოს უფროსმა, გიორგი ბაღდავაძემ. ევროკავშირის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს სამსახურის მიერ გატარებული რეფორმები და თავშესაფრის მაძიებლების მზარდი სტატისტიკის ფონზე სამსახურის მზაობა. ხაზი გაესვა ასევე სამსახურის წარმატებას სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

2022 წლის 8 დეკემბერს, ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ესტუმრნენ ბიუროში აშშ-ს საელჩოს INL-ის ოფისის დირექტორი სარა რუპერტი და საელჩოს თანამშრომელი ეკატერინე ფოფხაძე, რომელიც რამდენიმე წლის წინ იურიდიული დახმარების საბჭოს ხელმძღვანელობდა. სტუმრები გაეცნენ ბიუროს თანამშრომლებს, შეხვედრაზე მიმოიხილეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების წინაშე მდგარი საკითხები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც რეგიონებში მოღვაწე საზოგადოებრივი ადვოკატები დგანან.

2022 წლის 12 დეკემბერს, აქსის თაუერსში გაიმართა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირი საქართველოსთვის ერთობლივი პროექტის „სამართლო რეფორმების განხორციელება“ მმართველი კომიტეტის შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა სამსახურის დირექტორის მოადგილე დავით სიმონია.

XII

უწყებების
ურთიერთობები



2022 წლის 18 თებერვალს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა და კავკასიის უნივერსიტეტის დირექტორმა კახა შენგელიამ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

2022 წლის 31 მარტს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი მონაწილეობას იღებდა ევროკავშირი საქართველოსთვის მხარდაჭერით, გამართულ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრაში.

2022 წლის 6 მაისს, სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის სესიაში, რომლის ფარგლებშიც განიხილებოდა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე სამსახურის მანდატის გაფართოების საკითხი.

2022 წლის 10 მაისს, სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პარლამენტში გამართულ შეხვედრაში საპროცესო შეთანხმებების საკითხებთან დაკავშირებით. სამსახურის მიერ დამატებით წარდგენილი იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმების სტატისტიკა.

2022 წლის 13 მაისს, სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი და სამსახურის აპარატის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში გამართულ სამუშაო შეხვედრაში. შეხვედრის მონაწილეებმა 2021 წელს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურში ჩატარებული „მოქალაქეთა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტის“ ანგარიშზე იმსჯელეს.

2022 წლის 17 მაისს, სამსახურის დირექტორი მონაწილეობას იღებდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომაში.

2022 წლის 11 ივლისს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი მონაწილეობდა საქართველოში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის გახსნის ღონისძიებაში. ცენტრი გაიხსნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტოს, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ესტონეთის მთავრობის მჭიდრო პარტნიორობით. მისი კონცეფციის შემუშავებაში ასევე ჩართული იყო იურიდიული დახმარების სამსახურიც.

2022 წლის 1-2 სექტემბერს, სამსახურის დირექტორი მონაწილეობას იღებდა წინანდალში გამართულ პარლამენტის მიერ განხორციელებული საკომიტეტო მოკვლევის ანგარიშის „შშმ ქალების და გოგონების მისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე“ რეკომენდაციების აღსრულების მონიტორინგთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრაში.

2022 წლის 10 სექტემბერს, სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე წარადგინა იურიდიული დახმარების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში.

2022 წლის 16 სექტემბერს, სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე წარადგინა იურიდიული დახმარების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში.

2022 წლის 19 სექტემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტში გამართულ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში.

2022 წლის 26 სექტემბერს, სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი მონაწილეობას იღებდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის მხარდაჭერის მიზნით გამართულ სამუშაო შეხვედრაში.

2022 წლის 29 სექტემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტში გამართულ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში. შეხვედრა დაეთმო სასამართლო რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხილვას.

2022 წლის 8 ოქტომბერს, სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ პარლამენტში გენერალური პროკურორის არჩევასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილების პროექტის განხილვაში.

2022 წლის 18 ოქტომბერს - სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურსა და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

2022 წლის 19 ოქტომბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჭდენ კუპრაშვილმა პარლამენტის საშემოდგომო სესიის პლენარულ სხდომაზე წარადგინა იურიდიული დახმარების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში.

2022 წლის 31 ოქტომბერს, სამსახურის დირექტორი რაჭდენ კუპრაშვილი მონაწილეობას იღებდა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომაში.

2022 წლის 4 ნოემბერს, სიურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჭდენ კუპრაშვილი მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტში გამართულ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში.

2022 წლის 11 ნოემბერს, მთავრობის ადმინისტრაციაში NATO-ის დელეგაციის ვიზიტისთვის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება.

2022 წლის 14 ნოემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე დავით სიმონია მონაწილეობას იღებდა აქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, გამართულ შეხვედრაში. შეხვედრაზე გაიმართა 2022 წლის წლიური ეროვნული პროგრამის (Annual National Programme/ANP) განხორციელების შეფასების მიზნით, ნატო-ს შემფასებელთა ჯგუფის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში.

2022 წლის 20 ნოემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჭდენ კუპრაშვილი მონაწილეობას იღებდა დაბა ლიკანში სასტუმრო „რიქსოსში“ გამართულ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ნოემბრის N 551 დადგენილებით შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის სხდომაში.

2022 წლის 22 ნოემბერს, იუსტიციის სამინისტროში ბრიუსელში დაგეგმილ JFS-ის ფარგლებში დელეგაციის ვიზიტისთვის მოსამზადებელ შეხვედრაში მონაწილეობდა ანალიტიკური სამმართველოს უფროსი გიორგი ბაღდავაძე. შეხვედრის ფარგლებში, წარდგენილ იქნა სამსახურის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

2022 წლის 25 ნოემბერს, ქ. გორში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჭდენ კუპრაშვილმა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი სოსიაშვილმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. გაფორმებული მემორანდუმი მიზნად ისახავს სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას.

2022 წლის 28 ნოემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურსა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ უნივერსიტეტში მოქმედი „იურიდიული კლინიკის“ ფარგლებში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები გაივლიან როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების დახმარებით.

2022 წლის 22 დეკემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი მონაწილეობას იღებდა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომაში.

6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია

6.1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2021 წელს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურში ჩაატარა მოქალაქეთა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი, რომლის მიზანი იყო სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენა და მათ აღმოსაფხვრელად ქმედითი რეკომენდაციების გაცემა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაიცა რეკომენდაციები:

რეკომენდაცია N1

სასწავლო ცენტრის სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია სამსახურმა დოკუმენტში დეტალურად, წლების მიხედვით განსაზღვროს განსახორციელებელი აქტივობები, ხოლო საჭირო ტრენინგების უწყვეტ რეჟიმში მიწოდების მიზნით, უზრუნველყოს საჭიროებების კვლევის სრულყოფილად ჩატარება.

რეკომენდაცია N2


საზოგადოებაში სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვანია სამსახურმა შეიმუშაოს და დანერგოს განხორციელებული საქმიანობის შედეგების შეფასების/გაზომვის მეთოდოლოგია, რომელიც ხელს შეუწყობს ხარვეზების გამოვლენას და ორიენტირებული იქნება მათ აღმოფხვრაზე.

რეკომენდაცია N3

საბიუჯეტო სახსრების სრულყოფილად მობილიზების მიზნით, სამსახურმა შეიმუშაოს იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირის სასარგებლოდ დასრულებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღრიცხვიანობის წესი და დანერგოს იურიდიული დახმარების ხარჯების მოთხოვნის პრაქტიკა.

რეკომენდაცია N4

უფასო იურიდიულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურმა შეიმუშაოს წესი, რომელიც მაქსიმალურად მოიცავს იმ პირთა წრეს, რომლებსაც ოჯახში კონფლიქტის ან ერთობლივ შემოსავალზე შეზღუდული წვდომის არსებობის შემთხვევაში ესაჭიროებათ იურიდიული დახმარება.



6.2. სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება

რეკომენდაცია N1

რეკომენდაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში აქვს სტატუსი „შესრულებული“. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში რეკომენდაციის შესრულების პერიოდად განსაზღვრული ვადა იყო - 2022 წლის 31 იანვარი.

რეკომენდაცია N2

რეკომენდაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში აქვს სტატუსი „შესრულებული“. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში რეკომენდაციის შესრულების პერიოდად განისაზღვრა ვადა - 2022 წლის 31 მარტი.

რეკომენდაცია N3

რეკომენდაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში აქვს სტატუსი „შესრულებული“. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში რეკომენდაციის შესრულების პერიოდად განისაზღვრა ვადა - 2022 წლის 25 ივნისი.

რეკომენდაცია N4

რეკომენდაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში აქვს სტატუსი „შესრულებული“. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ელექტრონულ სისტემაში რეკომენდაციის შესრულების პერიოდად განისაზღვრა ვადა - 2022 წლის 29 იანვარი.



XIII

იურიდიული დახმარების
საბჭოს საქმიანობა

2022 წელს, გაიმართა იურიდიული დახმარების საბჭოს 4 სხდომა, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

2022 წელს, იურიდიული დახმარების საბჭომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

- იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 5 თებერვლის N98 გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებაში და განისაზღვრა, რომ რეესტრის ადვოკატისათვის საქმის გადაცემა დირექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლოა მოხდეს მოწმისათვის, დაზარალებულისათვის იურიდიული დახმარების განევის შესახებ მომართვის შემთხვევაში;
- იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 5 თებერვლის N99 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა საკონსულტაციო ცენტრისა და იურიდიული დახმარების ბიუროს ანგარიშგების წესი და ფორმა;
- იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 5 თებერვლის N100 გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N26 და 2015 წლის 3 აპრილის N19 გადაწყვეტილებებში და დადგინდა, რომ „მონვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრისა და იურიდიული სამართალწარმოების პროგრამის მართვის სამმართველოს უფროსი ჩანაცვლდეს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლის საქმეებზე იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოთი;
- იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის N101 გადაწყვეტილებით, არჩეულ იქნა იურიდიული დახმარების საბჭოს ახალი თავმჯდომარე;
- იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 31 აგვისტოს N103 გადაწყვეტილებით, საბჭომ გასცა თანხმობა სამსახურის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენის თაობაზე;
- იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 31 აგვისტოს N104 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ახალი დებულება და ძალადაკარგულად გამოცხადდა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილება;
- იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 27 ნოემბრის N105 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა იურიდიული დახმარების სამსახურის სამტატო ნუსხა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხის ზღვრული ოდენობა;
- იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 27 ნოემბრის N106 გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის N70 გადაწყვეტილებაში და დადგინდა, რომ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროსა და სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს საქმომდო ტერიტორიად განისაზღვროს თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, სამსახურის დებულებით დადგენილი მანდატის ფარგლებში;
- იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 27 ნოემბრის N10 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები;



XIV

სამსახურის
ადმინისტრაციული
საქმიანობა

1. სამსახურის დოკუმენტბრუნვა

2021 წელს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დოკუმენტბრუნვა შეადგენდა სულ 17606 დოკუმენტს. მათ შორის:

- 10685 შიდა დოკუმენტი;
- 3099 მომზადებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი (3089 ბრძანება, 10 - გადაწყვეტილება)
- 3822 შემოსული დოკუმენტი;

საქართველოს პარლამენტიდან შემოვიდა 150-მდე წერილი.

2022 წელს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურმა საქართველოს პარლამენტთან 2018 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, რეაგირება მოახდინა 117 მოქალაქის/ბრალდებულის/მსჯავრდებულის განცხადებაზე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტიდან შემოსული მომართვების საფუძველზე.

2022 წელს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შემოვიდა 51 წერილი;

2022 წელს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოვიდა 21 წერილი.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემა

2022 წელს, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, სამსახურში შემოვიდა 9 წერილი. აქედან საჯარო ინფორმაცია გაცემულ იქნა 9 წერილზე.

საჯარო ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა შემდეგი პირების მიერ:

- მოქალაქე (3 წერილი);
- ა(ა)იპ „საფარი“
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (IRS);
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI - 3 წერილი);
- პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის;
- გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო ;

მოთხოვნილი იყო შემდეგი შინაარსის ინფორმაცია:

მოქალაქეთა განცხადებები (3 განცხადება):

- არბიტრაჟთან დაკავშირებით სამსახურში მომართვიანობის და დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა სტატისტიკური ინფორმაცია;
- სამსახურში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოების მიმართულებით ბავშვთა საჭიროებებისა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების საკითხებზე შექმნილი ადვოკატთათვის შექმნილ ტრენინგ მოდულთან და გადამზადების სისტემასთან დაკავშირებით;
- სხვა სტატისტიკური ინფორმაცია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

- 2019 -2021 წლებში სამსახურს სისხლის სამართლის პროცესში იურიდიული დახმარების განწევის მოთხოვნით უფლებადამცველის მომართვიანობის და დაკმაყოფილებული მოთხოვნების ან განხილვის ეტაპზე არსებული მოთხოვნების სტატისტიკური ინფორმაცია.

ა(ა)იპ „საფარი“

- 2020 – 2021 წლებში სამსახურში გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთან, კაცთან, არასრულწლოვანთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაცია.
- 2020-2021 წლებში, სამსახურის მიერ საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე დაკავშირებით სამსახურის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (IRS);

2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, დაუცველ ჯგუფს მიკუთვნებულ პირთა მიერ მომართვიანობისა და საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.

დაუცველ ჯგუფში მოიაზრება:

1. ქალები (არადომინანტური ეთნიკური/რელიგიური/ლინგვისტური ჯგუფებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ქალები; ემიგრანტი ქალები);
2. იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები; ეკო-მიგრანტები);
3. პირები მათი საცხოვრებელი (დაბადების) ადგილის მიხედვით (ურბანული ტიპის დასახლებები (ქალაქი და დაბა); დედაქალაქი, დიდი ქალაქები, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრები; სოფლის ტიპის დასახლება; მაღალმთიანი რეგიონები; კონფლიქტის რეგიონები(საზღვრის-პირა რეგიონები);
4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
5. არადომინანტური რელიგიური, ეთნიკური და ლინგვისტური ჯგუფები (მუსლიმთა თემი; ქრისტიანული რელიგიური ჯგუფები (საქართველოს კეთოლიკე ეკლესია, სომხური სამოციქულო ეკლესია, ბაპტისტური ეკლესიები, იეჰოვას მოწმეები); ებრაელთა თემი; სხვა რელიგიური კონფესიები/ჯგუფები (ეზიდთა სასულიერო საბჭო, დჰარმული რელიგიები); აფხაზები; ოსები; აზერბაიჯანული თემი; სომეხი თემი; ქისტი თემი; სხვა ეთნიკური ჯგუფები; აზერბაიჯანულენოვანი ჯგუფები; სომხურენოვანი ჯგუფი; აფხაზურენოვანი ჯგუფი; ოსურენოვანი ჯგუფი; სხვა ლინგვისტური ჯგუფი);
6. პირები მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიხედვით (სოკი, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალური, ტრანსგენდერი და სხვა ქვიარ ადამიანები);
7. პირები მათი სოციალური და ეკონომიკური მოწყვლადობის ნიშნით (სოციალურად დაუცველი პირები; სიდარობის (აბსოლუტურ) ზღვარს მიღმა მყოფი პირები; უმუშევრები; მომსახურების სექტორში დასაქმებული პირები (ექთნები, სანიტრები, მოლარე-კონსულტანტები, კურიერები);



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI - 3 წერილი);

2021 – 2022 წწ

1. თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული ფულადი ჯილდოების და სახელფასო დანამატების (ცალ-ცალკე) ოდენობა თვეების მიხედვით;
2. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის გაფორმებული ხელშეკრულებების რეესტრი, სადაც ასახულია ხელშეკრულების საგნის (სამუშაო პოზიციის) და განსაზღვრული ყოველთვიური შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია;
3. მოქმედი იმ შრომითი ხელშეკრულების ასლი, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია, ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს შორის, ყველაზე დიდი შრომის ანაზღაურება;
4. მრჩევლის პოზიციაზე დასაქმებული პირებისთვის გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები და მათი ბიოგრაფიული მონაცემები (CV);
5. ყველაზე დიდი ხარჯის მქონე სარესტორნო მომსახურების გადახდის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციის ასლები (ჩეკი ან/და ინვოისი);
6. განხორციელებული ყველაზე დიდი ხარჯის მქონე მივლინების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები, რის საფუძველზეც ანაზღაურდა განუული ხარჯი;
7. სარეკლამო მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები;
8. სამსახურის ბალანსზე არსებული ავტომობილების ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელისა და მის მოადგილეების (ცალ-ცალკე) გადაადგილებას (ავტომობილის მოდელი, გამოშვების წელი, შესყიდვის წელი და ღირებულება);
9. სამსახურის ბალანსზე რიცხვული ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებაზე განუული ხარჯების ჩამონათვალი, შესყიდული საქონლის/მომსახურების დასახელების და მიმწოდებელი კომპანიის მითითებით;
10. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო თქვენი უწყების ბალანსზე არსებულ ავტომობილებზე გამონერილი ვიდეო ჯარიმების და დაკისრებული საჯარიმო თანხის საერთო ოდენობა;
11. ბიუჯეტიდან თანამშრომლებზე გაცემული სოციალური დახმარების ჩამონათვალი (სოციალური დახმარების გაცემის თარიღი, მისი მიზნობრიობა და თანხა) თანამდებობის პირების შემთხვევაში სახელის და გვარის მითითებით;
12. უწყებაში განხორციელებული ბოლო ინვენტარიზაციის თარიღი და შედეგები: გამოვლენილი დანაკლისის, ზედმეტობის და დაზიანებული აქტივების ჩამონათვალი, საბალანსო ღირებულებების მიხედვით;
13. შიდა აუდიტორული ანგარიშები;
14. გათავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა, გათავისუფლების მიზეზების მიხედვით;
15. მოქმედი საშტატო ნუსხის მიხედვით გათვალისწინებული პოზიციების და ფაქტობრივად დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა;
16. არსებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, თითოეულის ვაკანტურობის ხანგრძლივობის მითითებით;
17. ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია, დახურული შიდა და გამარტივებული (ცალ-ცალკე) კონკურსების და მათი მონაწილეთა რაოდენობა (მათ შორის გთხოვთ, მიუთითოთ რამდენ მათგანს ესწრებოდა ბიუროს წარმომადგენელი მონიტორინგის მიზნით);
18. ჩაშლილი და შეწყვეტილი კონკურსების (ღია, დახურული შიდა და გამარტივებული ცალ-ცალკე) რაოდენობა, მისი ჩაშლის და შეწყვეტის საფუძვლების მიხედვით;
19. შიდა კადრის დანიშვნით დასრულებული ღია და დახურული კონკურსების რაოდენობა (მათ შორის გთხოვთ, მიუთითოთ რამდენ მათგანს ესწრებოდა საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენელი მონიტორინგის მიზნით);

20. საპრეტენზიო კომისიაში და სასამართლოში (ცალ-ცალკე) კონკურსის შედეგების გასაჩივრების შემთხვევების რაოდენობა, დამდგარი შედეგების მიხედვით;
21. უწყების მონაწილეობით (სადაც თქვენი უწყება იყო სასამართლო დავის მხარე) მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებების ასლები შრომით/დასაქმებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებთან დაკავშირებულ სასამართლო დავებზე (სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ხოლო თუ საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული შესაბამის დავაზე სასამართლოს მიერ მიღებული ბოლო გადაწყვეტილება). ასევე, ამგვარი დავების საერთო რაოდენობა, რომლებზეც სასამართლოს ამ დრომდე არ მიუღია გადაწყვეტილება;
22. გადაუდებელი აუცილებლობით ან ღონისძიების შეზღუდულ ვადებში ჩატარებისთვის განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების ფარგლებში, თქვენი უწყების ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან ბაზრის კვლევის მიზნით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები.

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის / 2021 – 2022 წწ

1. ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებში რამდენ სრულწლოვან დაზარალებულ ქალს გაენია იურიდიული დახმარება;
2. ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებში რამდენ არასრულწლოვან დაზარალებულს გაენია იურიდიული დახმარება;
3. ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებში რამდენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დაზარალებულს გაენია იურიდიული დახმარება;
4. ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მიერ ბრალდებულის ინტერესების წარმოდგენის საფუძვლით, იმავე საქმეში დაზარალებულად ცნობილ რამდენ პირს ეთქვა უარი იურიდიული დახმარების განვავაზე სისხლის სამართლის ან სხვა საქმეში. გთხოვთ, მიგვითითოთ დაზარალებულთა სქესი, ასაკი და აქედან რამდენი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო;

სტატისტიკური ინფორმაცია (გენდერულ ძრილში)



3. სამსახურის ფინანსური ანგარიში

3.1. დაფინანსების წყაროები და ბიუჯეტი

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურის დაფინანსების წყაროებია:

- ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- ბ) შემონირულებები და გრანტები;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

იურიდიული დახმარების სამსახურის 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენდა სულ 8 170 500 ლარს.

იურიდიული დახმარების სამსახურის ხარჯებმა 2022 წელს შეადგინა 8 077 031.20 ლარი.

- შრომის ანაზღაურება - 4 637 870,93 (ლარი);
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 2 092 427,75 (ლარი);
- მივლინების ხარჯები - 80 398,37 (ლარი);
- ოფისის ხარჯები - 429 971,45 (ლარი);
- წარმომადგენლობითი ხარჯი - 33 784,65 (ლარი);
- სამედიცინო ხარჯი - 1 438,00 (ლარი);
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 3 386,20 (ლარი);
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები - 391 965,24 (ლარი);
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 153 974,82 (ლარი);
- სოციალური უზრუნველყოფა - 181 920,89 (ლარი);
- მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 16 583,67 (ლარი);
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 53 309,23 (ლარი).

3.2. 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვები

2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 1 126 542,00 ლარი. შესყიდვების გეგმა შესრულდა 93%-ით. სულ გაფორმდა 124 ხელშეკრულება და 3 ინტერნეტის გამონერის გზით (ხელშეკრულების გარეშე) - ჯამში 1 048 892,87 ლარი.

- გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა 88 ხელშეკრულება და 3 ინტერნეტის გამონერის გზით (ხელშეკრულების გარეშე) - თანხით 388 464,91 ლარი.
- ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 21 ხელშეკრულება თანხით 260 595 ლარი;
- კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 15 ხელშეკრულება თანხით 399 832,96 ლარი.



3.3. 2022 წლის სამსახურის მიერ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული თანხები

სამსახურში მიმდინარე რეფორმებს ფართო მხარდაჭერა აქვს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან (USAID/Prolog, COE, UNHCR, UNCHR).

2022 წელს, დონორ ორგანიზაციებთან წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად სამსახურმა მიიღო 40 028,41 აშშ დოლარისა და 4 000,00 ლარის გრანტი.

N	დონორი ორგანიზაცია	აღწერილობა	გრანტის თანხა		დაფინანსების პერიოდი (წელი)
1	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI)	კანონის უზენაესობის მხარდაჭერა	\$ 37 904,41		2022
2	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI)	კანონის უზენაესობის მხარდაჭერა		4 000 GEL	2022
3	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI)	კანონის უზენაესობის მხარდაჭერა	\$ 2 124,00		2022
ჯამი:			\$40 028,41	4 000,00	

4. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება

2022 წელს, ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის/განვითარების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ბიუროებში გაიზარდა ინტერნეტის დაკავშირების სიჩქარე. ასევე, ნაწილი ბიუროები რომლებიც ინტერნეტში ჩართული იყვნენ რადიო კავშირით, გადაყვანილი იქნა ოპტიკ-ბოჭკოვანი ინტერნეტ დაკავშირების ტიპზე, რამაც საშუალება მოგვცა, მიგვეღო უფრო სტაბილური და მაღალი სიჩქარის ინტერნეტ კავშირი;
- ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ფინანსური მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურისთვის შექმნილ იქნა 37 904, 41 დოლარის ღირებულების ტექნიკა, მათ შორის, 1 ერთეული სერვერი, 2 ერთეული კომპუტატორი და 5 ერთეული უკაბელო ქსელის წერტილები).

გადმოცემის შემდგომ, მოხდა ტექნიკის იურიდიული დახმარების სასერვეროში დაყენება, გაშვება-გამართვა და სამსახურის ერთიან ქსელში ინტეგრაცია;

- იურიდიული დახმარების სამსახურმა სატესტო რეჟიმში გაუშვა მობილური აპლიკაცია, რის შემდეგაც მოხდა აპლიკაციის გაშვებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიკაციის და სხვა სამმართველოებთან ერთად აღმოჩენილი პრობლემების მოგვარება;
- მცხეთის ბიურო გადავიდა ახალ საოფისე ფართში, რისთვისაც საჭირო იყო (შიდა კომპიუტერული ქსელის გამართვა, უკაბელო ქსელის აპარატურის მონტაჟი და გამართვა), ხოლო გადასვლის შემდეგ თანამშრომლების სამუშაო ადგილის გამართვა, კომპიუტერული ტექნიკის (სამუშაო სადგურების, პრინტერების) ახალ ქსელში ჩართვა და გამართვა;
- განხორციელდა იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის CaseBank-ის ახალ სერვერზე პორტირება.

5. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი

2022 წელს, საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატებს გადაეცათ 1 403 საქმე. კერძოდ:

დარგი	რაოდენობა
სისხლის სამართლის საქმეები	1237
სამოქალაქო სამართლის საქმეები	53
ადმინისტრაციული სამართლის საქმეები	113

2022 წლის დასაწყისში, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული იყო 54 ადვოკატი, მათ შორის - 29 ქალი და 25 კაცი.

დღეის მდგომარეობით, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულია 50 ადვოკატი, მათ შორის - 26 ქალი და 24 კაცი.

2022 წელს, 4 ადვოკატი ამორიცხულ იქნა რეესტრიდან.

რეესტრის ადვოკატების სპეციალიზაცია:

26 - სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი;

22 - საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი;

3 - სამოქალაქოს სპეციალიზაციის ადვოკატი;

49 - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი;

40 - ბავშვის უფლებებში სპეციალიზებული ადვოკატი.

2022 წელს, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის 8 ადვოკატის მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, თუმცა, არც ერთ შემთხვევაში არ დადგინდა ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტი და არ მომხდარა ამ საფუძვლით ადვოკატთან ხელშეკრულების შეწყვეტა.

2022 წელს, განხორციელდა რეესტრის ადვოკატების მიერ ნაწარმოები **1 337** საქმის ანაზღაურება, მათ მიერ წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე, კერძოდ:

ბათუმი	79 საქმე	11 074 ლარი;
ოზურგეთი	67 საქმე	5 928 ლარი;
თბილისი	416 საქმე	48 984 ლარი;
ზესტაფონი	16 საქმე	2 881 ლარი;
ქუთაისი	91 საქმე	8 554 ლარი;
თელავი	210 საქმე	20 325 ლარი;
სიღნაღი	47 საქმე	069 ლარი;
მცხეთა	32 საქმე	3,992 ლარი;
ზუგდიდი	55 საქმე	4,505 ლარი;
ფოთი	16 საქმე	1623 ლარი;
ახალციხე	52 საქმე	6,045 ლარი;
რუსთავი	156 საქმე	16,882 ლარი;
გორი	100 საქმე	7,726 ლარი.

საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების ნაწარმოებ საქმეებში სამსახურმა სულ გადაიხადა - **142 588** ლარი



6. სამსახურის მიმართ სასამართლოში მიმდინარე დავები

1) მოსარჩელე: ლ. მ., **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური;
დავის საგანი: ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება;

საქმის სტატუსი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია უზენაეს სასამართლოში. ამ ეტაპზე საკასაციო საჩივართან დაკავშირებით მიმდინარეობს წარმოებაში მიღების საკითხის განხილვა.

2) მოსარჩელე: ვ. გ.; გ. შ.; ი. ნ. და სხვები; **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური;
დავის საგანი: იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N 75 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განუვლი იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ.

საქმის სტატუსი: სამსახურის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა შესაგებელი. საქმე არის მომზადებულ ეტაპზე. სასამართლოს მიერ მთავარი სხდომა დანიშნული არ არის.

3) მოსარჩელე: ვ. გ.; გ. შ.; ი. ნ. და სხვები; **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური;
დავის საგანი: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის შინაგანანესში ცვლილების შეტანის შესახებ (დისციპლინური წარმოება) სამსახურის დირექტორის 2020 წლის 7 სექტემბრის LA 3 20 00000965 ბრძანების ბათილად ცნობა;

საქმის სტატუსი: მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა. ამ ეტაპზე დასაბუთებული გადაწყვეტილება არ არის მომზადებული.

4) მოსარჩელე: ვ.გ. **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური;
დავის საგანი: დისციპლინური სახდელის ბათილად ცნობა, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, თანხის დაკისრება.

საქმის სტატუსი: სამსახურის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა შესაგებელი. საქმე არის მომზადებულ ეტაპზე. სასამართლოს მიერ მთავარი სხდომა დანიშნული არ არის.

5) მოსარჩელე: ვ.გ. **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური;
დავის საგანი: დისციპლინური სახდელის ბათილად ცნობა.

საქმის სტატუსი: პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, დასაბუთებული გადაწყვეტილება არ არის მომზადებული.

6) მოსარჩელე: ვ.გ. **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური;
